პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რ ე დ ა ქ ც ი ა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—58

ხელისმომწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კ., დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს" და „მეცნიერება და ტექნიკას". განცხადებები: ნომპარელის სტრიქონი—20 კ., აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.

ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელეფონი 13—80.

ხუთშაბათი, 23 აპრილი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 91 (1246)

საინფორმაციო-განყოფილების

დღის [illegible]

— დეპუტატთა პალატამ [illegible] მთავრობას.

— პოლონეთში გაიფიცნენ სოფლის მუშები.

— ვანდერველდემ ჯერაც ვერ მოახერხა მთავრობის შედგენა.

— ჩინეთში დიდი ანტიქრისტიანული [illegible] დაიწყო.

— გაიფიცა ჩინეთის მასწავლებლობა.

— ვარშავაში ჩავიდა [illegible] კენტუნ-ძე.

ორმოცდამეხუთმეტე წლის თავი ლენინის დაბადებიდან

გავიდა სრული 55 წელიწადი ვლადიმერ ილიასძე ულიანოვის (ნ. ლენინის) დაბადების შემდეგ და წელიწადი და სამი თვე მისი გარდაცვალების შემდეგ.

კაცობრიობის ისტორიაში მისი სახელი უკვდავია. მისი მნიშვნელობა და როლი ჩაგრულთა და ტანჯულთა ბედის შეცვლაში, მათი მდგომარეობის შემსუბუქებაში უკვე დაფასებული იყო მის სიცოცხლეშივე. სამწუხაროდ თავის სიცოცხლეში მან შესძლო განხორციელება თავის მისწრაფებათა მხოლოდ ერთი ნაწილის. მან იცოდა, რომ სიკვდილი მოახლოვებული ჰქონდა, და ამიტომ ყველა თავის მისწრაფებათა განხორციელება მშრომელი ხალხის მეთვალყურს—მის მიერ შობილს და გაწვრთნილს **კომუნისტურ პარტიას** დაუტოვა ანდერძად. მაგრამ ეს არაა უბრალო ანდერძი. ესაა სისხლ და ხორცშესხმული მოძღვრება, ესაა მარქსის თეორია ცხოვრებაში, სინამდვილეში გადატანილი; ესაა მდიდარი გამოცდილებით გამდიდრებული სიბრძნე, აღჭურვილი და შეიარაღებული მარქსისტული კვლევაძიების და რევოლიუციონური მოქმედების სალი მეცნიერული მეთოდით, რომლის მომარჯვებით შესაძლებელი ხდება მომავლის განჭვრეტა და გათვალისწინება. ყოველივე ეს გულისხმობს მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის დახსნა-განთავისუფლებას ყოველგვარი ჩაგვრისა და მონობისაგან და ისეთი წესწყობილების დამყარებას, როცა ყველა ადამიანი მთლად ადამიანად გახდება, როცა ერთი ადამიანის მეორე ადამიანზე ბატონობა შეუძლებელი შეიქნება. ლენინმა თავის სიცოცხლეში ჩაუყარა საფუძველი ამ განთავისუფლების საქმეს ერთ დიდ ქვეყანაში, რომელსაც წინედ რუსეთის იმპერია ჰქვიოდა და დღეს კი **საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირი** ეწოდება.

ყოველივე ეს ერთად შეადგენს ლენინიზმს, ლენინის მოძღვრებას, მარქსისტულ თეორიას და პრაქტიკას ერთად შეზავებულს. ეს არ ეხება მარტო ერთ რომელიმე ქვეყანას; ის ვრცელდება მთელ მსოფლიოზე, ის შეიცავს მთელი დედამიწის ყველა ჩაგრულ და დამონავებულ ერებს-ხალხებს, პროლეტარებს და გლეხებს. ასეთი უნივერსალური, მსოფლიო მნიშვნელობის მოძღვრება აქამდის კაცობრიობას არ მოსწრებია. ესაა უდიდესი ამოცანა, რომელიც კი ოდესმე წამოუყენებია კაცობრიობას გადასაჭრელად. და აი ეს ამოცანა უდგას დღეს წინ გადასაჭრელად საერთაშორისო პროლეტარიატს, განსაკუთრებით კი მის მოწინავე რაზმს (ავანგარდს)—**ბოლშევიკების კომუნისტურ პარტიას.**

ლენინის გზით სიარული, ლენინის მეთოდებით მოქმედება, ლენინის მოძღვრების გავრცელება და განხორციელება ცხოვრებაში, აი რა დიდი და მძიმე მოვალეობა გვაქვს ჩვენ დაკისრებული. არ კმარა რომ ვიძახოთ ლენინიზმი, ლენინის ანდერძი და სხვ. საჭიროა საქმე და არა სიტყვა. გაიხსენეთ, თუ როგორ სძულდა ლენინს სიტყვების რახარუხი, თუ როგორ დასცინოდა იგი იმათ, ვინც მარტო სიტყვებს იმეორებდენ და საქმეს გაურბოდენ: ის, ვინც თავის თავს უწოდებს ლენინელს, ლენინის მიმდევრად, მის შეგირდათ მოაქვს თავი, დეე მან ნაკლებად ილაპარაკოს, ნაკლებად გაიძეროს, რომ იგი ლენინელია, და უფრო მეტი ყურადღება მიაქციოს საქმეს, ყოველდღიურ საქმეს, ცხოვრების ჭირვარამს, გასაჭირს, და ყოველთვის და ყოველგან, როცა იგი თავის თავს უწოდებს ლენინელს, დაფიქრდეს იმაზე, თუ როგორ მოიქცეოდა ამ შემთხვევაში თვით ლენინი. ჩვენ უნდა მივბაძოთ მას არა სიტყვებში, არამედ საქმეში, და მხოლოდ მაშინ ვიქნებით ჩვენ ღირსი იმის, რომ ვატაროთ ლენინის პარტიის სახელი. დღევანდელ დღეს, როცა ჩვენ ვიგონებთ ლენინის დაბადების ორმოცდახუთმეტე წელიწადის თავს, კიდევ და კიდევ გავიხსენოთ ყოველივე ის, რასაც გვასწავლიდა ჩვენ ეს უდიდესი მასწავლებელი.

ფ. მახარაძე.

ახალი შინაური სესხი

მკითხველი ალბად წაიკითხავდა გაზეთებში მოთავსებულ, ფინანსთა სახალხო კომისარიატის განცხადებას სახელმწიფო მოკლევადიან 5 პროცენტიან შინაურ სესხის გამოშვების შესახებ.

საკავშირო მთავრობა სესხს უშვებს 10 მილიონი მანეთის რაოდენობით და ერთი წლის ვადით—ა. წ. 1 აპრილიდან 1926 წლის 1 აპრილამდე.

სესხზე ხელის მოწერა დიდის წარმატებით მიმდინარეობს. მარტო მოსკოვში, ისიც პირველ დღეებში, ხელისმომწერმა უკვე გადააჭარბა სესხის მთელ რაოდენობას. სხვაგანაც ჰპოულობს იგი ფართე გასავალს. მოსალოდნელია, რომ ხელის მოწერის საერთო ჯამი რამოდენიმეჯერ გადააჭარბებს 10 მილიონ მანეთს.

ეხლანდელი სესხი არსებითად განსხვავდება საბჭოთა მთავრობის მიერ ყველა წინად გამოცემულ სესხებისაგან. წინად ჩვენი სახელმწიფო უკიდურეს გაჭირვებას განიცდიდა. გასავალი დიდად ჰარბობდა შემოსავალს. ხელისუფლება იძულებული იყო ზედმეტი გასავალი დაეფარა ნაწილობრივ ახალი ფულის გამოშვებით, რაც უფრო სცემდა მის კურსს. ამიტომ სახელმწიფო თანდათან ამცირებდა ფულის ბეჭდვას და უფრო შინაურ სესხს აწყობდა.

მაგრამ ეს იყო ხანა გახურებული სპეკულიაციის, როცა ყველა შეძლებული იყო სურვილით ესარგებლა ბაზრის სიმშილით და ქაოტიურ მდგომარეობით, და მოკლე დროში რაც შეიძლება მეტი მოგება ენახა. ასე რომ ნებაყოფლობით არავის უნდოდა ფული ბანკში დაებანდებინა, რადგან ეს არ იძლეოდა ასეთი მოგების საშუალებას.

ამასთან მაშინ სუფევდა საერთო გაჭირვება, ხელმოკლეობა მშრომელ მასებში, და მათ თავისუფალი თანხა არ გააჩნდათ.

ასეთ პირობებში სახელმწიფოს, ფინანსიური კრიზისის ასაცილებლად, აუცილებელი ხარჯების გასასტუმრებლად, უნდა მიემართა სესხის იძულებითი წესით განაწილებისათვის. იგი ასეც იქცეოდა.

მაგრამ, მეორე მხრივ, ასეთმა წესმა დასცა სესხის ობლიგაციების კურსი. ყველა ცდილობდა ეს ობლიგაციები რაც შეიძლება მალე მოეშორებინა ხელიდან. ბაზარზე მისმა ფასმა ძალიან დაიწია. იყო დრო, როცა ხუთმანეთიანი ობლიგაცია ბაზარზე ღირდა ერთი ან ორი მანეთი.

დღეს მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვალა. სახელმწიფოს ფინანსიური მეურნეობა გაჯანსაღდა. გვაქვს უდეფიციტო ბიუჯეტი. ჩვენი ვალიუტა განმტკიცდა. მრეწველობა და მთელი სახალხო მეურნეობა აღორძინების მკვიდრ ნიადაგზეა დაყენებული. აღებ-მიცემობა გამოცოცხლდა, საქონლის ტრიალი ჩადგა ნორმალურ კალაპოტში. მოისპო სპეკულიაციის შესაძლებლობა. ასეთმა მდგომარეობამ შექმნა პირობები, რათა სახელმწიფო ბოლოს გადასულიყო შინაური სესხის ნორმალურ სისტემაზე. ათი მილიონიანი სესხის გამოშვება ამ მხრივ პირველი ნაბიჯია. ახალი სესხის განაღდება ხდება მხოლოდ ნებაყოფლობითი წესით. არავითარი იძულებას აქ ადგილი არა აქვს. ობლიგაციებს იძენს მხოლოდ ის, ვისაც სურს.

მიუხედავად ამისა, სესხი წარმატებით ვრცელდება. ეს აიხსნება აღნიშნული ჩვენი სახელმწიფოს ფინანსიური და ეკონომიური გაჯანსაღებით. თვითონ სესხის ობლიგაციების შეძენა მეტად ხელსაყრელია. მაგ., ობლიგაცია, რომელიც ღირს 10 მან., იყიდება 8 მან. და 20 კ., ამასთან ერთი წლის შემდეგ, მომავალი წლის პირველ აპრილს, შეიძლება მის დასაფარავად მთელი ათი მან. მიღება, რომელი რაოდენობაც ობლიგაციაზეა აღნიშნული. გარდა იმისა, 6 თვის შემდეგ ამ ობლიგაციებით გადახდილი იქნება 5 პროც., თითეულ ათ მანეთიან ობლიგაციაში მისი პატრონი მიიღებს 50 კაპ.

ეხლანდელი სესხი მიზნათ ისახავს ნებაყოფლობითი საფუძველზე ქვეყანაში დაგროვილ თავისუფალ ფულის მიზიდვას სახელმწიფო მეურნეობაში. ამას უეჭველათ დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს ხელს შეუწყობს ქვეყნის ფინანსების უფრო განმტკიცებას და საწარმოო ძალების შემდგომი განვითარებას.

არა ნაკლებ საყურადღებოა სესხის პოლიტიკური მნიშვნელობა. სესხის კამპანიის წარმატებით მიმდინარეობა მოწმობს, რომ მოსახლეობა დიდი ნდობით ეკიდება მუშურ-გლეხურ მთავრობას, სახელმწიფო მეურნეობის და ჩვენი ფულის სისტემის სიმტკიცეს.

ეხლა მიღებული გამოცდილებით მთავრობა ისარგებლებს შემდეგში სესხის ოპერაციის უფრო გაფართოვებლად.

X.

სტატისტიკოსთა კონფერენცია

დღეს თბილისში იკრიბება საქართველოს სახელმწიფო სტატისტიკის მუშაკთა მესამე კონფერენცია. საქართველოს სახელმწიფო სტატისტიკას დიდი ხნის ისტორია არა აქვს. მისი დამოუკიდებელი არსებობა იწყება საქართველოს გასაბჭოებიდან. პირველი კონფერენცია შესდგა 1921 წლის მაისში, როდესაც სახელმწიფო სტატისტიკის ორგანიზაცია ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული იურიდიულად. ეს უფრო თათბირი იყო პერსონალურად მოწვეულ პირებისა, რომელნიც იმ დროს მუშაობდენ სტატისტიკის ასპარეზზე, ვიდრე ერთი მთლიანი ორგანიზაციის წარმომადგენელთა კრება. ამ თათბირის მნიშვნელობა მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ მან შემოხაზა სქემა სახელმწიფო სტატისტიკის მომავალ ორგანიზაციისა და მისცა მას იურიდიული სახე—შეიმუშავა დებულება, რომლითაც დღესაც მოქმედობს ჩვენი ორგანიზაცია.

სულ რამდენიმე თვის შემდეგ—იმავე წლის დეკემბერში შეიკრიბა მეორე კონფერენცია. ეს იყო პირველი შეხვედრა ორგანიზაციულად დარაზმულ და მომავალ მუშაობისათვის გამზადებულ მუშაკებისა, რომელთაც წინ დიდი სამოქმედო ასპარეზი მოელოდათ, მაგრამ ამ ასპარეზზე სავალი გზა კი ჯერ ისევ უცდელი და უვლელი იყო. ამ კონფერენციას თვითონ უნდა ეცადნა და თავისი საკუთარი ძალღონით გაეკაფა თავისი სამოქმედო გზა; მის მუშაობასაც ამიტომ აჩნდა ბეჭედი ერთგვარი გაუბედაობისა და სიახლისა.

დღეს კი მესამე კონფერენციაზე (არაფერს ვამბობ სრულიად საქართველოს სტატისტიკოსთა პირველ ყრილობაზე, რომელიც შესდგა 1922 წლის ოქტომბერში, და რომელიც უნდა ჩაითვალოს სტატისტიკური იდეის, კოლექტიური შემოქმედების განმტკიცების და გარკვეული სტატისტიკური მუშაობის დასაწყისად ჩვენში; მას თავისი დანიშნულება და თავისი ისტორია აქვს) უკვე სრულიად სხვა პირობებში უხდებათ შეკრება. სახელმწიფო სტატისტიკის პრაქტიკულ მომუშავეთ—მათ თან მოსდევთ ოთხი წლის გამოცდილება, მათ ზურგზედ გადაუვლია მთელი თავისი სიმძიმით დიდ სტატისტიკურ ოპერაციებს, მოაქვთ თავისი წვლილი, პატარა, მაგრამ საკუთარი ხელით შეტანილი ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში. დღეს უფრო თამამად და გამოცდილი თვალით შეუძლიათ გადახედონ თავის ნამუშევარს და სრული სიცხადით წარმოიდგინონ თავისი მომავალი სამოქმედო ასპარეზი.

მაგრამ ამასთანავე მათ კარგად იციან, რომ მთელი სიმძიმე მუშაობისა და პასუხისმგებლობა მათ წინ არის. რამდენადაც ვითარდება და რთულ ფორმებს ღებულობს ქვეყნის სოციალურ ეკონომიური ურთიერთობანი, რამდენადაც ფართოვდება სახალხო მეურნეობის შემოქმედებითი ძალები, რამდენადაც მეტი შინაარსი ეძლევა ჩვენს ცხოვრებას,—იმდენად მეტს და ახალ-ახალ მოთხოვნილებას უყენებს იგი სტატისტიკას. სტატისტიკა ხერხემალგაუმაგრებელი, ახალგაზრდა მეცნიერებაა; თანამედროვე ცხოვრების სწრაფმა მსვლელობამ წინ უსწრო სტატისტიკის განვითარებას და ეს უკანასკნელი იზნიქება ამ ცხოვრების ახალ და გაუთვალისწინებელ მოთხოვნილებების სიმძიმის ქვეშ არა მარტო ჩვენში, არამედ მსოფლიო მასშტაბითაც: ამიტომ ძართებთ ამჟამად სტატისტიკის მუშაკთ გაათკეცებული ენერგიით მუშაობა. ჩვენი კონფერენციაც ასეთი სერიოზულობით და სრული პასუხისმგებლობით უნდა შეუდგეს თავის მომავალ მუშაობას.

მ. უ.

როგორ უნდა გამოვიყენოთ ზაფხულის შვებულება

(წინადადების სახით)

შრომის კოდექსით ყველა მუშა-მოსამსახურეს წელიწადში ეძლევა ერთი თვე შვებულება დასასვენებლად, ჯამაგირის შენახვით. მაშასადამე, მიმდინარე წელს, რამოდენიმე ათასი პარტიული და უპარტიო ამხანაგები მიიღებენ მორიგ შვებულებას. საჭიროა ყველა ის ამხანაგები (ვინც ავად არ არის), რომელთაც მიეცემათ შვებულება, წავიდნენ დასასვენებლად რესპუბლიკის სხვადასხვა სოფლებში. აქ ისინი უფრო კარგად დაისვენებენ, რადგანაც მეტი მყუდროება და სიწყნარეა (იაფობაც არის), და ამავე დროს ერთი თვის განმავლობაში ადგილობრივ ორგანიზაციებს უხელმძღვანელებენ, გამოარკვევენ და შეისწავლიან მათ მუშაობას, ავკარგს, დაუახლოვდებიან გლეხკაცობის მასსას და მათ აზრს და განწყობილებას გაიგებენ.

როცა რომელიმე სოფელში საგანგებოდ გაგზავნილი კომისია ჩადის რამე საქმის გამოსარკვევად, მაშინ გლეხკაცობა არც ისე თავისუფლად ლაპარაკობს თავის ჭირ-ვარამზე. მაგრამ სულ სხვაა, როცა ესა თუ ის ამხანაგი ჩაა დასასვენებლად, როგორც სტუმარი. თითეულ ჩვენთაგანს კავშირი აქვს სოფელთან; შეიძლება წახვიდე იმ სოფელში, საიდანაც შენ თვითონ ხარ გამოსული (ეს კიდევ უკეთესია).

ამ გზით ბევრი რამის გაკეთება შეიძლება, თუ წინდაწინ ექნებათ ამხანაგებს შემუშავებული გეგმა. ამ ამხანაგების დაკვირვებანი და ცნობები დაუფასებელ მასალად გამოადგება ცენტრალურ მთავრობას.

ჩვენ დაგვჩემდა ერთი სენი: ყველას გვინდა წასვლა: კოჯორში, მანგლისში, აბასთუმანში, სურამში, ბორჯომში, ბაკურიანში, ბახმაროზე და ასეთ გამოჩენილ კურორტებზე.

შარშან მე ვიყავი ერთ მაზრაში, სადაც პასუხისმგებელ მომუშავეს ვკითხე: როგორ მიდის მაზრაში საერთოდ მუშაობა-მეთქი. მიპასუხა: ძლიერ სუსტად, რადგანაც დრო არ გვრჩება მაზრიდან თემებში და სოფლებში ვიმოგზაუროთ და იქ მუშაობა გამოვაცოცხლოთ. თვითონ ეს ამხანაგი იმავე მაზრის ერთ-ერთი სოფლის მცხოვრები იყო. რამოდენიმე ხნის შემდეგ იგივე ამხანაგი ვნახე აბასთუმანში, სადაც ერთი თვით ისვენებდა (ავად არ იყო). განა არ შეუძლია ასეთ ამხანაგებს შვებულების ერთი თვე გაატარონ იმ სოფელში, საიდანაც თვითონ არიან.

ჩემი წინადადება, თავის თავად ცხადია, არის მხოლოდ ამხანაგური რჩევა, რომელიც შეიძლება ცხოვრებაში გატარდეს ამა თუ იმ ამხანაგის პირადი ნებაყოფლობით. მაგრამ, ვიმეორებ, თუ ის ცხოვრებაში გატარდა რამოდენიმედ მაინც, დიდ ნაყოფს და სარგებლობას მოუტანს მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას, ქალაქის და სოფლის მშრომელთა დაკავშირების დიად საქმეს.

კ. ხომერიკი.

ჟოზეფ კაიო

კაიოს ფინანსთა მინისტრად არჩევა უდიდეს პოლიტიკურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს დღევანდელ საფრანგეთის ცხოვრებაში.

კაიოს დიდი პოლიტიკური თავგადასავალი აქვს და იმის დაბრუნება სამინისტრო სავარძელზე—ეს ნიშნავს ნამდვილ მკვდრეთით აღდგენას.

საყურადღებოა მოკლედ გადავავლოთ თვალი მის ისტორიას.

კაიო იყო ბელადი ყველაზე მრავალრიცხოვან პარტიის—რადიკალ-სოციალისტებისა. 1911 წელში მრავალ დღე-მოკლე სამინისტროების შემდეგ მან შეადგინა მთავრობა, რომელმაც იარსება დაახლოვებით ერთი წელიწადი.

მაშინ კაიოს საგარეო პოლიტიკაში დიდი გადამწყვეტი მომენტი შეუხვდა: 1911 წლის ზაფხულში ძალიან გამწვავდა დამოკიდებულება საფრანგეთისა და გერმანიის შორის და უკვე გაიცა სათადარიგო სამხედრო განკარგულებანი და დღითი-დღე მოსალოდნელი იყო სისხლისმღვრელი ამბები. კაიო კარგად ხედავდა, რომ სუსტი საფრანგეთი ვერ გაუმკლავდებოდა ძლიერ და გათამამებულ გერმანიას. ამიტომ გადასწყვიტა, რათაც უნდა დაუჯდეს, მშვიდობიანი მოლაპარაკებით მოეგვარებინა მთელი დავა. მართლადაც აფრიკის კოლონიების ერთმანეთში გაცვლა-გამოცვლით მშვიდობიანად დამთავრდა ყველაფერი და ამგვარად კაიომ გადაარჩინა საფრანგეთის ბურჟუაზია საშინელ დამარცხებას.

შინაურ პოლიტიკაში კაიო დიდი მემარჯვენე იყო. მან გაამეფა ისეთი რეპრესიები, რაც საფრანგეთში უკვე დიდი ხანია დავიწყებული იყო: დაპატიმრება, დატყვევება, ჩხრეკა—ეს სულ ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. მას მემარცხენე გაზეთები უწოდებდენ საფრანგეთის სტოლიპინს.

1912 წელში დაეცა მისი სამინისტრო. 1913 წელს კაიო შევიდა ბენლევეს სამინისტროში—ფინანსთა მინისტრად. დიდი ხარჯების გამო საფრანგეთი მაშინაც განიცდიდა ფინანსიურ სივიწროვეს. აქ კაიო გამოვიდა კაპიტალის დაბეგვრის მომხრეთ და თავის პოლიტიკასაც ამ მიმართულებით აწარმოებდა.

ეს კი ვეღარ აიტანა საფრანგეთის ფინანსიურმა ბურჟუაზიამ და მეფის აღდგენის მოთაყვანეებმა დაიწყეს უსასტიკესი ბრძოლა კაიოს დასამხობათ. ამ ბრძოლას ყველაზე თავ-გამოდებით ჩაუდგა სათავეში პარიზის ერთი გავლენიანი გაზეთთაგანი „ფიგარო". ბრძოლა მეტად დაუნდობარი იყო. აქ ერთმანეთს ეკვეთენ „რესპუბლიკური" და მონარქიული საფრანგეთი.

ყოველ დღე „ფიგაროს" ფურცლებზე ახალ-ახალი იერიში იყო ამოთვალისწინებულ კაიოს წინააღმდეგ. ამ გამწვავებულ ბრძოლაში არარც საშუალებას ჰქონდა დაზოგვა. დაიწყეს კაიოს შინაური ცხოვრების ჩხრეკა და მისი ინტიმური თავმოყვარეობის გაზიზღება. ამისი უკანასკნელი ნიმუში იყო კაიოს მიერ თავის მეუღლესთან მიწერილი კერძო ბარათის დაბეჭდვა. ამ შინაური ცხოვრების შარაზე გამოტანა ვეღარ აიტანა კაიოს მეუღლემ და იმავე დღეს რედაქციაში მოჰკლა „ფიგაროს" დირექტორი—კალმეტი. ეს იყო 1914 წლის დასაწყისში.

ამ დღიდან დაიწყო უფრო დაუზოგავი ბრძოლა მემარჯვენე და „მემარცხენე საფრანგეთს" შორის.

კაიომ იმავე დღეს მიანება მინისტრობას თავი. მემარჯვენეები აღარაფერს არ ზოგავდენ გასაწბილებლათ და დასამარხათ. კაიო სულ ერთიან ჩამოშორდა პოლიტიკურ მოღვაწეობას, თუმცა დეპუტატათ კი ითვლებოდა ისევ.

1914 წლის გაზაფხულზე მოხდა პალატის ახალი არჩევნები. მემარცხენეებმა კაიო ისევ გაიყვანეს დეპუტატათ, მემარჯვენეების ჯიბრზე, მაგრამ იგი მაინც პოლიტიკურ ცხოვრების გარეშე იდგა.

ომის წინა კვირაში მოხდა კაიოს მეუღლის გასამართლება. აქ უმაღლეს მწვერვალამდის ავიდა ორ პოლიტიკურ მიმდინარეობის ბრძოლა. მთელი კვირის განმავლობაში ერთმანეთს ეკვეთებოდენ საფრანგეთის „სამართლის" ორი უდიდესი მჭერმეტყველი—მემარჯვენე როშერი და მემარცხენე ლაბორი. მაგრამ ორთავეზე ძლიერი გამოდგა თვით კაიო. მან იქ წარმოსთქვა დიდი პოლიტიკური სიტყვა, სადაც გადაშლილი იყო საფრანგეთის მთელი მაშინდელი ვითარება.

კაიო გაამართლეს. დაიწყო ომი. საფრანგეთში დევიზათ აღიარეს „უნიონ საკრე" (წმინდა კავშირი). აქ უნდა მოსპობილიყო ყოველგვარი შინაურული შუღლი, მაგრამ კაიოს მაინც ვერ ინელებენ მემარჯვენეები.

რამდენიმე თვის შემდეგ კაიო გაგზავნილ იქნა მაშინდელ მინისტრ-პრეზიდენტის ვივიანის მიერ—ბრაზილიაში საგანგებო პოლიტიკურ მინდობილობით. საფრანგეთში დაბრუნების შემდეგ იგი აღარავითარ მნიშვნელოვან როლს არ თამაშობდა პოლიტიკაში.

როცა ომი გათავდა, კაიოს წინააღმდეგ ისევ დაიწყო სასტიკი კამპანია და ბოლოს მემარჯვენეებმა იმდენი მოახერხეს, რომ იგი სამართალშიაც მისცეს „სამშობლოს ღალატისთვის". კაიო მოსვენებას უკარგავდა საფრანგეთის რეაქციონულ და შოვინისტურ ბურჟუაზიას. კარგათ ხედავდენ, თუ კაიო დაუბრუნდა პოლიტიკურ ცხოვრებას, იგი უეჭველათ ისევ თავისას გაიტანდა და შურსაც იძიებდა თავის მტრებზე. ამიტომ საჭირო იყო მისი სრული სიკვდილი და განადგურება როგორც პოლიტიკურათ, ისე ზნეობრივათ.

1919 წელში კაიო გაასამართლეს და რამდენიმე წელიწადი ციხეც მიუსაჯეს. 1924 წელში გამარჯვებულმა მემარცხენე ბლოკმა ამნისტია გამოაცხადა და კაიოც გაანთავისუფლეს.

დღეს საფრანგეთი უკიდურეს ფინანსიურ გაჭირვებაშია ჩავარდნილი. ვერავინ ვერაფერი გააწყო. და აქ თერთმეტი წლის დევნისა და წამებების შემდეგ ისევ მიმართეს კაიოს, რომ მიიღოს ფინანსთა მინისტრის პორტფელი, რომელიც ისი ნაძალადევათ გამოსტაცეს 1914 წელში.

ჟოზეფ კაიოს პოლიტიკური აღდგენა—ეს დიდმნიშვნელოვანი ამბავია საფრანგეთის ცხოვრებაში. ერთი შეხედვით ეს არის გამარჯვება მემარცხენე მიმდინარეობისა, მაგრამ მგელი მგლის ტყავს არ დახევს და კაპიტალისტების ჯიბეს მისგან საფრთხე არ მოელის. საფრანგეთის ფინანსების გაჯანსაღება თუ ეს შესაძლებელი შეიქნა საზოგადოთ, მოხდება მშრომელთა ხარჯზე, რომელთა კლასიური მტერი ის იყო და დარჩა. მას ტყუილათ არ უწოდეს „კაიოსისხლი".

მოამბე.

ბულგარეთში აჯანყება დაიწყო

ფაშისტებმა დახვრიტეს 1000 კაცი.—თეთრი ტერორი ძლიერდება

ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტრო უარყოფს საბჭოთა მთავრობის მონაწილეობას მომხდარ ამბებში

ამერიკის გაზეთები მომხდარ ამბებში ბრალს სდებენ ცანკოვის მთავრობას

ფაშისტების შურისძიება

ვენა. 21 აპრ. ვინაიდან ბულგარეთის მთავრობამ შეზღუდა რკინის გზით მიმოსვლა და შემოიღო სატელეგრაფო ცენზურა, ამჟამად შეუძლებელია სწორი წარმოდგენა ვიქონიოთ ბულგარეთის მდგომარეობის შესახებ.

სიწყნარეა?

ბულგარეთის მთავრობა ამტკიცებს, რომ ქვეყანაში სრული სიწყნარეა, მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ სოფიის ტაძარში მომხდარ აფეთქების შემდეგ მთელს სახელმწიფოში მეფობს აუწერელი ტერორი, რაც გამოიხატა კერძოდ, მასიურ მკვლელობაში. ბულგარეთის ოფიციალურ დეპეშათა სააგენტოს ცნობით, **დახვრეტა მიესაჯათ ყოფილ ოფიცრებს იანკოვს და მანკოვს, რომელთაც ბრალად ედებათ აფეთქებაში მონაწილეობის მიღება. მანკოვმა, რომელიც ხუთ კომუნისტთან ერთად ჩაიკეტა ერთ სახლში, თავი მოიკლა, ვითომდა დაპატიმრების თავიდან ასაცილებლად.**

ხვრეტენ ვინც ხელში მოხვდებათ.

სააგენტოს ცნობით, იანკოვი და მინკოვი იყვნენ ბულგარეთის კომპარტიის ყველაზე უფრო გამოჩენილი ხელმძღვანელები. იანკოვი იყო მაკედონიის გამოჩენილ რევოლიუციონერის შვილი. მანკოვი, ყოფილი მესანგრეთა კაპიტანი. სააგენტოს ცნობით, დიდი ხნის განმავლობაში იგი სცხოვრობდა რუსეთში. **არავითარი დამამტკიცებელი საბუთი არ მოიპოვება თავდასხმაში მისი მონაწილეობის შესახებ.**

1000 მსხვერპლი თეთრი ტერორის.

სოფიის პოლიცია აღიარებს, რომ აფეთქების ადგილს აღმოჩენილია კიდევ მრავალი გვამები.

კერძო წყაროებიდან მიღებულ ცნობების თანახმად, სოფიაში, **როგორც სჩანს, მოკლულნი არიან გლეხთა პარტიის მემარცხენე ფრთის დეპუტატები—პეტრინი და გრინჩაროვი. მოკლულთა რიცხვი 1000 კაცს აღემატება. დაპატიმრებული არიან ყველა კომუნისტები და გლეხთა პარტიის ლიდერები, რომელთაც კი პოლიციამ მიაგნო.**

ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება აგრეთვე პროვინციებში მრავალ დაპატიმრებათა შესახებ.

მშრომელთა შურისძიების მსხვერპლნი

დღემდის მიღებულ ცნობების თანახმად, **აფეთქების დროს დახოცილთა რიცხვი 190 კაცზე მეტია; მძიმედ დაჭრილია 300-ზე მეტი. მძიმედ დაჭრილთა შორის არის მეფის ადიუტანტი, გენერალურ შტაბის ყოფ. უფროსი ფიჩევი, რომელიც დაჭრილი იყო აფეთქების დროს, გარდაიცვალა.**

ბულგარეთის მთავრობა ძველებურად სცდილობს გამოიყენოს აფეთქება პოლიტიკურ მიზნებისათვის და ამტკიცებს, რომ გამოძიებამ დაამტკიცა კომინტერნის მონაწილეობა თავდასხმის მზადებაში.

სოფიაში დახვრიტეს 400 კაცი.

სამხრეთ სლავიის პრესაში მოყვანილია დაწვრილებითი ცნობები ცანკოვის მთავრობის მიერ მიღებულ საშინელ რეპრესიულ ზომების შესახებ. **მხოლოდ სოფიაში სიკვდილით დაისაჯა 400 კაცზე მეტი და დაპატიმრებულია რამდენიმე ათასი კაცი.**

ბულგარეთის მთავრობამ საზღვართან თავი მოუყარა დიდძალ ჯარებს იმ შემთხვევისათვის, თუ ადგილი ექნა თავდასხმას.

ბულგარეთში აჯანყება დაიწყო.

სამხრეთ სლავიის გაზეთების ცნობით, ბულგარეთში დაიწყო დიდი რევოლიუციონური მღელვარება. აჯანყებულ გლეხებსა და მთავრობის ჯარებს შორის ადგილი აქვს შეტაკებებს.

ცანკოვის განცხადება

ცანკოვი მოკავშირეებს ეძებს

ნიუ-იორკი, 21 აპრილი. ბულგარეთის ელჩი ვაშინგტონში პანარეტოვი პრესისათვის გადაცემულ ცნობაში, რომელიც შეეხება სოფიის ტაძარში მომხდარ აფეთქებას, ამტკიცებს, რომ „არავითარი ეჭვი არ არის იმაში, რომ აფეთქება—მოსკოვის აგენტების საქმეა". პანარეტოვის სიტყვით, ბულგარეთის მთავრობამ, თითქოს, ხელში ჩაიგდო დოკუმენტები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ „მოსკოვი ბულგარეთში გზავნიდა ფულს პროპაგანდისტებისათვის". ბულგარეთის პრემიერმა ხელი მოაწერა ამერიკის პრესისათვის დაწერილ განცხადებას, რომელშიაც ის ბრალს სდებს კომინტერნს და საბჭოთა მთავრობას იმაში, რომ ისინი ბულგარეთში აწყობდენ პოლიტიკურ თავდასხმებს.

ცანკოვი აცხადებს, რომ კომინტერნს და საბჭოთა მთავრობას, თითქოს, სურთ ბულგარეთი გაიხადონ ბაზათ-მუშაობისათვის ბალკანეთზე, და მთელს მსოფლიოს მიმართავს მოწოდებით დახმარების შესახებ, ამბობს რა, რომ „ბოლშევიკები აწარმოებენ ბრძოლას, რომელიც მიმართულია მთელი მსოფლიოს წინააღმდეგ".

ბულგარეთის ამბების გამოძახილი

გამოფხიზლება.

პარიზი, 21 აპრილი. საფრანგეთის პრესაში სოფიაში მომხდარ აფეთქების გამო ცოტაოდენად შეცვლილია კილო. ასე მაგალითად **„ენფორმასიონ" ჰავასის ლონდონიდან მიღებულ დეპეშას, რომლის თანახმად ინგლისის გარეშე საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ საბჭოთა მთავრობას წილი არ უდევს სოფიაში მომხდარ აფეთქებაში.**

ნიუ-იორკის გაზეთი ბულგარეთის ამბების შესახებ.

ნიუ-იორკი, 21 აპრილი. ნიუ-იორკის გაზეთი „უორლდ"-ი მეთაურ წერილში სწერს, რომ შეცდომა იქნება პასუხისმგებლობა ბულგარეთში მომხდარი ამბებისათვის დავაკისროთ საბჭოთა კავშირს. გაზეთი აცხადებს, რომ კომინტერნი, ალბათ, გამოიყენებს **ბულგარეთის ამბებს, რომელთა გამომწვევი მიზეზები უნდა ვეძიოთ ბულგარეთში არსებულ ეკონომიურ და პოლიტიკურ პირობებში.**

ბელგიაში

სოციალისტები ემუდარებიან ბურჟუაზიულ პარტიებს შევიდენ მთავრობაში.

პარიზი. 21 აპრილი. რადგან ვანდერველდეს მოლაპარაკება ახალი კაბინეტის შედგენის შესახებ უშედეგოთ დამთავრდა, ბელგიის სოციალისტურ პარტიის გენერალურმა საბჭომ გადასწყვიტა ოფიციალურად მიმართოს კათოლიკურ და ლიბერალურ პარტიებს დაბეჯითებითი თხოვნით—მონაწილეობა მიიღონ სოციალისტების მიერ შედგენილ კაბინეტში, რომელშიაც სოციალისტებს უნდა ეკუთვნოდეთ მინისტრ.-პრეზიდენტის და 3 მინისტრის ადგილი, კერძოთ მიწად-მოქმედების მინისტრის პოსტი.

ჩინეთში

მასწავლებლების გაფიცვა

პეკინი. 21 აპრილი. ჯამაგირის მიუღებლობის გამო უჩანის ყველა სასწავლებლების მასწავლებლებმა გამოაცხადეს გაფიცვა. მასწავლებლების დელეგაციამ, რიცხვით 200 კაცმა, ინახულა ადგილობრივი ფინანსთა კომისარი, მაგრამ ამ უკანასკნელის მიერ ის მიღებული არ იქნა. მასწავლებლების მოთხოვნილებები გამოკრულია ყველა სასწავლებლების კარებთან. მასწავლებელთა დემონსტრაციამ, რომელშიაც შედიოდა ათას კაცზე მეტი, ჩაიარა ქუჩებზე პლაკატებით, რომლებზედაც დაწერილი იყო მასწავლებლების მოთხოვნილებები.

ანტი-ქრისტიანული მოძრაობა

პეკინი. 21 აპრილი. ანტი-ქრისტიანული მოძრაობა, რომელიც დაიწყო ხანკოუში, უჩანში და ხანიანში, თანდათან ფართოვდება.

სასპორტო შეჯიბრებაზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა 18 აპრილს უჩანში, სტუდენტებმა მრავლათ გაავრცელეს ანტი-ქრისტიანული ბროშიურები, გარეკეს კათოლიკური ორკესტრი და ქრისტიან ახალგაზრდათა კავშირის ტანვარჯიშის ინსტრუქტორი.

ჩინეთის სტუდენტობის მოძრაობის ჩასაქრობათ სამხედრო ხელისუფლებამ პროვინცია ფუკუნში დაადგინა დახუროს სკოლები და სასტიკათ დასაჯოს სტუდენტების მეთაური ფუჩ-სუ.

ამერიკა და საბჭოთა კავშირი

ძველი გზა ?

ნიუ-იორკი. 21 აპრილი. „ნიუ-იორკ ტაიმსის" პარიზელი კორესპონდენტი იუწყება, რომ მიღებულ ცნობების თანახმად, ამერიკის გარეშე საქმეთა მინისტრმა კელლოგმა დაუგზავნა ამერიკის ყველა ელჩებს ცირკულიარული წერილი, რომელშიაც აღნიშნულია, რომ ამერიკის პოზიცია საბჭოთა კავშირის მიმართ არ შეიცვალა და არც ახლო მომავალშია მოსალოდნელი მისი შეცვლა.

გარეშე საქმეთა სამინისტროს მოხელეები არც ადასტურებენ და არც უარყოფენ ასეთი წერილის დაგზავნის ფაქტს. მთავრობის წრეებში ადასტურებენ ცირკულიარულ წერილის გაგზავნას, მაგრამ **ძალიან მცირე მნიშვნელობას აკუთვნებენ მას; ისინი აცხადებენ, რომ ეს წერილი წარმოადგენს იმ ხმების ტრაფარეტულ გაბათილებას რომელიც შეეხება პოლიტიკის შეცვლას.**

პრესა

ბრძოლა უმუშევრობასთან

უმუშევრობას ჩვენში საკმაოდ მწვავე და ფართე ხასიათი აქვს მიღებული. ამაზე ხშირად სწერენ. აგრეთვე იმართება სპეციალური თათბირები უმუშევრობასთან ბრძოლის ღონისძიებათა გამოსამუშავებლად. ფართე მასშტაბით ეწყობა საზოგადოებრივი სამუშაოები, რომლებშიც აბამენ უმუშევრებს. ყურადღება ექცევა უმუშევართა საწარმოო არტელების, კოლექტივების ორგანიზაციას და სხ.

ამასთან, რაც მთავარია, ჩვენი მრეწველობა იზრდება და ფართოვდება და იგი, რაც დრო გადის, სულ უფრო მეტ მუშა ხელს თხოულობს.

მაგრამ მიუხედავათ ყველა ამისა, უმუშევართა რიცხვი მაინც დიდია და კიდევ მატულობს. სადაა მთავარი წყარო უმუშევრობის? **„რაბოჩაია გაზეტა"** ეხება ამ საკითხს და უპასუხებს:

> „უმუშევრების მთელი ტალღა მომდინარეობს სოფლიდან. სოფელი ისვრის სულ ახალ და ახალ უმუშევრებს, რომელთა დაბანდება არ შეუძლია ჩვენს განვითარების გზაზე მდგარ მრეწველობასაც გამოანგარიშებულია, რომ ყოველწლიურად სოფლის მოსახლეობის მატება შეადგენს არა ნაკლებ მილიონ ნახევარ კაცისა (მთელ საბჭოთა კავშირში). უფრო სწრაფადაც რომ განვითარდეს ჩვენი მრეწველობა, ის მაინც ვერ შესძლებს უახლოეს წლებში ამოდენა ხალხის სამუშაოთი დაკმაყოფილებას".

რატომ ილტვის ქალაქისაკენ სოფლის გლეხობა და აქ ეძებს ლუკმა პურს? „რაბოჩაია გაზეტა" განმარტავს:

> „სოფლის მეურნეობას ჯერჯერობით არ შეუძლია გამოიყენოს მთელი ეს ზედმეტი მუშა ხელი. ჯერ კიდევ ჩამორჩენილ, ღარიბ სოფელს, რომლის განვითარება ნელა მიმდინარეობს, არ ძალუძს გლეხების მნიშვნელოვან რიცხვს მისცეს სამუშაო. ამიტომ სოფლად ცოტა არ არის ისეთი ხალხი, რომელიც მხოლოდ პირველ შეხედვით ეწევა მეურნეობას, ნამდვილად კი მზად არის აიბარგოს და სხვაგან წავიდეს სამუშაოზე პირველ ხელსაყრელ შემთხვევაში.
>
> აი სად არის უმუშევრობის მთავარი მიზეზი".

აქედან თავის თავად გამომდინარეობს ის საშუალება, რომლითაც უნდა ვებრძოლოთ უმუშევრობას,—ესაა სასოფლო მეურნეობის აღორძინება:

> „ქალაქში უმუშევრობის აღმოფხვრა ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ მაშინ, როცა სოფლად აღვადგენთ მეურნეობას. მხოლოდ სასოფლო მეურნეობის დონეს აწევისას შეიძლება შეჩერებულ იქნას უმუშევრობის ტალღა".

სოფლად უმუშევრობის საკითხი განსაკუთრებული სიმწვავით დგას ჩვენში. მიწის სიმცირე და მეურნეობის ჩამორჩენილობა იწვევენ აქ მასიურ უმუშევრობას. მიწის დამუშავების გაუმჯობესება, რომ ნაკლებ მიწაზე მეტი მოსავალი მოვიდეს, მაღალ კულტურაზე გადასვლა, შინამრეწველობის განვითარება და ამ მიზნით შინამრეწველთათვის შეღავათიან პირობების შექმნა, სოფლის ნაწარმოების გასაღების საქმის მოწესრიგება, გადასახლების საკითხის მოგვარება,—აი ზოგიერთი ღონისძიებანი, რომელნიც ხელს შეუწყობენ უმუშევრობის შემცირებას სოფლად და, მაშასადამე, ქალაქებშიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი ცნობები

პერსელმა სულთათანა უგალობა ნოე ჟორდანიას.

ლონდონი, 22 აპრილი. გაზეთ „დეილი ჰერალდში“ პერსელი ენერგიულად იგერიებს ქართველი მენშევიკების ბელადის ნოე ჟორდანიას შემოტევას პროფკავშირთა დელეგაციის მიერ საქართველოს მდგომარეობის შესახებ დაწერილ ანგარიშის წინააღმდეგ, რომელიც დაბეჭდილი იყო „დეილი ჰერალდში“.

პერსელი სწერს: „ჟორდანიას მხრივ მოსალოდნელი იყო გამოკამათება, ვინაიდან ამ ანგარიშმა სასიკვდილო ლახვარი ჩასცა ყველა ცრუ და ფანტასტიურ ჭორებს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების შესახებ“. პერსელი აღნიშნავს, რომ საბჭოთა მთავრობამ განამტკიცა ვალიუტა საქართველოში, უფასოდ გადასცა გლეხებს მიწა, ნაციონალიზაცია უყო მრეწველობას, იგი ხელს უწყობს ქართული ენისა და ქართული კულტურის აყვავებას.

პერსელი ხაზს უსვამს იმას, რომ ჟორდანიას მენშევიკურმა მთავრობამ დახმარება მიიღო გერმანიისა და მოკავშირეებისაგან.

ლიბერალებმა უარი განაცხადეს ვანდერველდეს მთავრობაში შესვლაზე

პარიზი, 22 აპრილი. ლიბერალების ფრაქციებმა ბელგიის პარლამენტსა და სენატში უარი განაცხადეს ვანდერველდეს წინადადებაზე მთავრობაში შესვლის შესახებ.

ამერიკაში დანიშნულ იაპონიის ელჩის განცხადება

ნიუ-იორკი. 22 აპრილი. იაპონიის ელჩმა შეერთებულ შტატებში—მაცუდაირამ ნიუ-იორკში წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიც უარყო საბჭოთა კავშირსა და იაპონიას შორის რაიმე საიდუმლო სამხედრო შეთანხმების არსებობა. რის შესახებაც არა ერთხელ დადიოდა ხმები.

შემდეგ მაცუდაირამ განაცხადა რომ იაპონია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება არ არღვევს ღია კარების პოლიტიკას აზიაში. მაცუდაირამ სთქვა აგრეთვე, რომ შეუძლებელია ომი იაპონიასა და შეერთებულ შტატებს შორის და ხაზი გაუსვა იმას, რომ იაპონია არ ღებულობს საპასუხო ზომებს იმ კანონის წინააღმდეგ, რომელიც ხელს უშლის იაპონელების გადასახლებას კალიფორნიასა და სხვა შტატებში.

ამხ. კაშენი მთავრობის დეკლარაციის შესახებ

პარიზი. 21 აპ. პენლევეს დეკლარაციის გამო წარმოთქმულ თავის სიტყვაში კომუნისტმა კაშენმა განაცხადა, რომ მთავრობის დეკლარაცია გაურკვეველი ხასიათისაა. მან ხაზი გაუსვა წინააღმდეგობას ამ დეკლარაციასა და წინანდელ კაბინეტის პროგრამის შორის. კაშენმა აღნიშნა, რომ კაბინეტში მონაწილეობა ერთი სენატორისა, რომელმაც ხმა მისცა ერრიოს წინააღმდეგ, მშვენიერი დამამტკიცებელი საბუთია ბანკირების კავშირისა და იმ პოლიტიკისა, რომელსაც ერრიო ხშირად ებრძოდა. კაშენმა სასტიკად გააკრიტიკა მოღვაწეობა ფრანსუა მარსალისა—სენატორისა და ბანკირის—და განაცხადა, რომ ერრიოს მთავრობა ჩამოაგდეს ბანკირებმა, რომელნიც ახრჩობენ საფრანგეთს მათთვის ხელსაყრელ წუთებში. კაშენმა გააკრიტიკა ახალი მთავრობის დეკლარაციაში დასახული საგარეო პოლიტიკა და აღნიშნა ის საფრთხე რომელიც ემუქრება პროლეტარიატს ფაშისტურ ორგანიზაციების მხრიდან. დასასრულ კაშენმა მოითხოვა ამნისტია პოლიტიკურ პატიმართათვის და საარჩევნო უფლებების მინიჭება ქალებისათვის.

საბჭოთა სტუმრები ჩჟან-ძო-ლინთან

პეკინი. 22 აპრილი. საბჭოთა შორეულ აღმოსავლეთის წარმომადგენლები კუბიაკი და გამარნიკი ჩავიდენ მუკდენში, სადაც მათ შეეგებენ ჩჟან-ძო-ლინის წარმომადგენლები და საპატიო ყარაული. ისინი 2 საათს ესაუბრენ ჩჟან-ძო-ლინს. შემდეგ ჩჟან-ძო-ლინმა გადაუხადა მათ საპასუხო დარბაზობა საბჭოთა საკონსულოში და სტუმრების პატივსაცემად გამართა სადილი.

ებრაელების დარბევა რუმინეთში.

ბალტა, 22 აპრ. რუმინეთის გაზეთები გადმოგვცემენ ფოკშანში მომხდარ ებრაელთა დარბევის დაწვრილებითი ცნობებს.

დამრბევი ფაშისტი სტუდენტები მოქმედებდენ წინასწარ შემუშავებულ გეგმით. დანაწილდენ რა ჯგუფებად სტუდენტები მათთან შეერთებულ ბანდიტებთან ერთად მთელ ქალაქში სძარცვავდენ ებრაელების სახლებს, მაღაზიებს, დაწყებით შკოლებს.

მიუხედავად მთავრობის განცხადებისა, რომ უწესოება აღარ განმეორდება ფოკშანში მდგომარეობა მაინც სახიფათოა. ყველა თეატრები და მაღაზიები დაკეტილია. ებრაელი მცხოვრებლები ვერ ბედავენ ქუჩაში გამოსვლას.

დარბევაში მონაწილე ყველა სტუდენტები გაანთავისუფლეს. ფოკშანში მიღებულ ცნობის თანახმად ადაბჯ-შტში, პანჩიუში და აჯუბში ელიან ებრაელთა საწინააღმდეგო გამოსვლებს.

პენლევეს მთავრობის დეკლარაცია

პარიზი, 21 აპრილი. მთავრობის დეკლარაციაში, რომელიც წარმოდგენილი იქნა დეპუტატთა პალატაში, პენლევემ განაცხადა, რომ ყველა გადასაჭრელი საკითხები უკანა რიგშია დაყენებული შედარებით იმ საკითხებთან, რომელიც **ეხება საფრანგეთის უშიშროების უზრუნველყოფას და ფინანსიურ წონასწორობის დამყარებას.** თავის მოღვაწეობაში მთავრობა იხელმძღვანელებს მშვიდობიანობის პრინციპით, რომელიც დამყარებული იქნება უშიშროების უზრუნველყოფაზე, არსებულ ხელშეკრულებათა პატივისცემაზე, მთავრობა შეეცდება ამ ხელშეკრულებათა დაცვას და საგადასახადო. სამართლიანობაზე და მყარებულ ეკონომიურ წონასწორობის მიღწევას.

მთავრობა განაგრძობს დოუესის გეგმის განხორციელებას და მოკავშირეთა ვალების საკითხის მოწესრიგებას. საფრანგეთი ძველებურად იცავს მის მიერ ჟენევაში (ერთა ლიგის სესიაზე) აღიარებულ სამ პრინციპს: უშიშროების უზრუნველყოფა, სამედიატორო სასამართლოში საქმის გარჩევა და განიარაღება.

პატივისცემით ეპყრობა რა ყოველგვარ სარწმუნოებას მთავრობა მხარს უჭერს კანონს საერო აღზრდის შესახებ. **ის დასტოვებს ვატიკანში წარმომადგენელს,** ამასთანავე ეს წარმომადგენელი იქნება „უმაღლესი კვალიფიკაციის“.

მოისმინა რა მთავრობის დეკლარაცია, დეპუტატთა პალატამ დადგინა დაუყოვნებლივ განიხილოს შეკითხვები მთავრობის საერთო პოლიტიკის შესახებ. კომუნისტმა კაშენმა აღნიშნა დეკლარაციის გაურკვევლობა და დაუპირდაპირა იგი წინამორბედ კაბინეტის პროგრამას. კაშენი აკრიტიკებდა დეკლარაციას საგარეო პოლიტიკის საკითხებში. შარლ ბერტრანმა, ჟან რუამ და ტეტტენჟემ პროტესტი განაცხადა ომში მონაწილეთა სახელით მთავრობაში კაიოს შესვლის წინააღმდეგ რომელიც სცდილობს გახდეს „მშვიდობიანობის მთავრობად“.

კაიოს ფინანსიური გეგმები

პარიზი, 21 აპრილი. ფინანსთა მინისტრმა კაიომ, მთავრობის დეკლარაციის განხილვის დროს დეპუტატთა პალატაში განაცხადა:

„მთავრობას უნდა მიეცეს უწინარეს ყოვლისა ისეთი დირექტივა, რათა საფრანგეთის ბანკის ავანსები სახელმწიფო ხაზინისათვის არ იქნას გადიდებული. კაიომ დასძინა, რომ ახლო მომავალში ის შეიტანს პალატაში 1925 წლის ბიუჯეტს და გამოითხოვს სახელმწიფო დაწესებულებებიდან ხარჯთაღრიცხვას 1926 წლის ბიუჯეტის შესადგენად და ამ უკანასკნელ ბიუჯეტს ის შეიტანს პალატაში უკვე ივნისში. ბიუჯეტი დამყარებული იქნება წონასწორობის პრინციპზე და მასში გათვალისწინებული იქნება როგორც მთელი გასავალი, ისე ყველა გადასახადები ამის შემდეგ დადგება დრო ფინანსიურ გაჯანსაღების ოპერაციების—სავალიუტო ოპერაციების საწარმოებლად.

მთავრობას ნდობა გამოუცხადეს

პარიზი. 21 აპრილი. დეკლარაციის განხილვის შემდეგ დეპუტატთა პალატამ ნდობა გამოუცხადა მთავრობამ 304 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 218-ისა.

სოფლის მუშების გაფიცვა პოლონეთში

მოსკოვი, 22 აპრილი. პოლონეთის სოფლის მუშების გაფიცვის შესახებ შემდეგს იტყობინებიან:

გაფიცვა მოედო მთელს პოლონეთს. **გაფიცულია მუშების 60—80 პროც.** გაფიცვა გამოწვეულია იმით, რომ მემამულეები სცდილობენ ნახევარზე უფრო მეტათ შეამცირონ მოჯამაგირეების შრომის ხელფასი და ამით, და აგრეთვე სხვა საშუალებითაც, შესამჩნევათ გააუარესონ სასოფლო-სამეურნეო მუშების მდგომარეობა.

პოლონეთის სოციალისტური პარტია მასებს ატყუებს რადიკალური ფრაზეოლოგიით, ამავე დროს ფიქრობს უღალატოს მას და იცავს „წესრიგს და ლეგალობას“.

მაგრამ ბრძოლა გამწვავდა. გაფიცვის გაჭიანურებამ სრულებით არ შეასუსტა ის,—პირიქით, მუშების თანდათან უფრო მეტი რაოდენობა ებმება გაფიცვაში.

მემამულეები უარს ამბობენ საკვები მისცენ მოჯამაგირეთა მსხვილფეხა საქონელს, ამაზე მოჯამაგირეებმა მრავალ რაიონებში უპასუხეს „შავი გაფიცვით“ (ისინი უარს ამბობენ მემამულეთა საქონლისათვის საკვების მიცემაზე).

დამახასიათებელია ის, რომ მრავალ ადგილებში გლეხებს აპატიმრებდენ იმისათვის, რომ ისინი დახმარებას უწევდენ და თანაგრძნობას უცხადებდენ გაფიცულებს. საერთოდ მოჯამაგირეთა გაფიცვა გამომხატველია იმ [illegible] განწყობილების, რომელსაც ადგილი აქვს გლეხობაში.

ამხ. კარახანის ლექცია პეკინში

პეკინი, 22 აპრ. უნივერსიტეტის თხოვნით ძინ-გუაში კარახანმა 20 აპრილს წაიკითხა ლექცია შემდეგ თემაზე: „საბჭოთა კავშირი და აღმოსავლეთის ხალხები“.

ხაზი გაუსვა რა, რომ **საბჭოთა** რესპუბლიკები დაარსებულია ლენინის მიერ, კარახანმა ეკონომიური და პოლიტიკური ანალიზი გაუკეთა იმპერიალიზმს და პარალელი გაიყვანა იმპერიალიზმის წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის და ჩინეთის ბრძოლის შორის.

კარახანმა ურჩია სტუდენტობას ზედმიწევნით შეისწავლონ საბჭოთა კავშირის ისტორია, ვინაიდან მხოლოდ მისი ბრძოლის ისტორიის მიხედვით შეიძლება შესწავლა ბრძოლისა, იმპერიალისტურ ჩაგვრის წინააღმდეგ.

ლექციას დაესწრნენ მრავალი ჩინელები და უცხოელები.

უცხოეთის ცხოვრება

როტშილდის არჩევა პარლამენტში სოციალისტების დახმარებით

მეორე ინტერნაციონალის მრევლს ხომ თითო სახათაბალო საქმე არ დაელევა! ხან სად ჩამოეხდებათ სოციალისტობის გაცვეთილი ნიღაბი და ხან სადა და ამგვარათ მუშათა კლასს საშუალება ეძლევა დაინახოს მათი ნამდვილი მოღალატური სახე.

ეს ხალხი თავიანთი ბაქიაობით ლამის მთელ ქვეყანას აჯერებენ, თითქოს იგინი იყვნენ მშრომელთა ინტერესების ყველაზე თავგამოდებული დამცველნი. სინამდვილეში კი სულ სხვა მტკიცდება. დაჩაგრულთა და მშრომელთა ინტერესებს სულ ადვილათ და სულ იაფად გაჰყიდიან თუნდა თვით მუშათა კლასის მოსისხლე მტრებზეც კი. ამისთვის საჭიროა მხოლოდ მუშტარი გამოუჩნდეს, სხვა დანარჩენი მიზეზი მათ ხელს ვერ შეუშლის.

ამისი ნამდვილი მაგალითი თვალ წინა გვაქვს.

ჩვენ ამ რამდენიმე თვის წინეთ უკვე გვქონდა აღნიშნული ფინანსისტ—ბარონ როტშილდის არჩევა საფრანგეთის პარლამენტში. მან გაიარჯვა მხოლოდ და მხოლოდ თავისი მსუქანი ჯიბის წყალობით. სხვა რაიმე სადეპუტატო ღირსება მას არა ჰქონია.

ღარიბ და ჩამორჩენილ ზემო-ალპების სოფლებში ის გულუხვათ ურიგებდა ფულებს, როგორც კერძო პირებს ისე საზოგადო დაწესებულებებს და კლუბებს, ოღონდ კი მოენადირა ყველას გული და არჩევნებში ხმა მიეცათ მისთვის.

მართლაც ბარონ როტშილდი არჩეულ იქნა. მაგრამ იცით ვისი წყალობითა და ერთგულის დახმარებით?

— არ გაგიკვირდეთ! ეს გახლავთ სოციალისტი დეპუტატი კლუზელი!

აქ არჩევნების გარშემო დასაწყისშივე დიდი აყალ-მაყალი შეიქნა. 1 აპრილს კი თვით დეპუტატთა პალატაშივე გაირჩა ეს საკითხი და ყველაფერი დღის სინათლეზე იქნა გამოტანილი.

ამ თაღლითობისა და უკუღმართობის გამომჟღავნებაში ყველაზე დიდი დამსახურება, ძალა-უნებურათ, ისევ როტშილდს მიუძღვის.

საქმე თურმე კარგათ ყოფილა მოწყობილი ორთავეს სასარგებლოთ მშრომელი ხალხის ხარჯზე, მაგრამ მათმა გაიძვერობამ ბოლომდის ველარ გასტანა.

როცა ბარონს მოსთხოვეს პასუხი, თუ რათ არიგებდა ქრთამებს, იგი უპასუხებს:

— მე ქრთამებს კი არა, მოწყალებას ვურიგებდი ღარიბ-ღატაკებს! ან რომელი თქვენგანი არ ჩაიდენდა ამას, რომ ჩემოდენი შეძლება ჰქონოდეს?

შემდეგ ის კლუზელის წინააღმდეგ განაგრძობს იერიშებს და ამბობს:

— კლუზელმა ჩემ წინააღმდეგ გამოილაშქრა მხოლოდ იმიტომ, რომ ქრთამათ არ მივეცი 200.000 ფრანკი, რომელსაც იგი მთხოვდა ვითომდა რაღაცა სტამბის ხარჯებისათვისო.

დიახ, სოციალისტების მედროშე კლუზელს დაუპატიჟია როტშილდი ზემო-ალპებში. მას მოუწყვია საქმე სოციალისტების მეორე კანდიდატ ფურრასთან, რომ მას უარი ეთქვა კანდიდატობაზე როტშილდის სასარგებლოთ და ამაში მიიღებდა, რასაკვირველია, საკმაო გასამრჯელოს.

კლუზელს პურმარილიც ბევრჯერ უჭამია თურმე ბარონ როტშილდთან (სოციალისტობა ხომ მადის უქონლობას არ ამტკიცებს).

მაგრამ ყველაფერი გააფუჭა 200.000 ფრანკის მოთხოვნამ, რომელსაც მადა-აშლილი სოციალისტი წაედავა ერთ მშვენიერ სადილობის დროს, და რაკიღა ვერ მიიღო ეს ფული, მხოლოდ მაშინ ამეტყველდა „სოციალისტ“ კლუზელის ენა როტშილდის წინააღმდეგ მშრომელთა სახელით. მაგრამ შუბი ხალთაში არ დაიმალებაო, და აქაც არც ამ ვაჟბატონის საქმე დაიმალა.

ყველაფერი ეს გამყიდველობა და ანგარება დაამტკიცა როტშილდმა კლუზელის მიერ საკუთარი ხელით დაწერილ წერილებით.

სოციალისტებს რასაკვირველია კაი ფერი არ ადგებოდათ ამ სეირის ცქერაზე და იძულებული გახდენ მოეთხოვათ როტშილდის არჩევნების გამოძიება.

ბოლოს პალატამ გამოძიება კი მიიღო, მაგრამ როტშილდის არჩევა კი მაინც კანონიერათ სცნო 180 ხმით—წინააღმდეგ 178 ხმისა.

ესეც თქვენი კეთილშობილი სოციალისტები! მოდი და ამის შემდეგ კიდევ დაუჯეროს რამე კაცმა!

დახმარება სოფლის მეურნეობას

პატიმრების გაშვება შვებულებაში თესვის დროს

მოსკოვი, 22 აპრილი. იმ გლეხების მეურნეობისათვის დახმარების გაწევის მიზნით, რომლებიც სასჯელს იხდიან, სრულიად რუსეთის ცაკმა დაადგინა უფლება მისცეს საგუბერნიო განმანაწილებელ კომისიებს საგაზაფხულო მუშაობის პერიოდში 3 თვის შვებულება მისცენ იმ დაპატიმრებულ გლეხებს, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს შეუგნებლობის გამო, პირველად, ანდა ძიმე მატერიალური მდგომარეობის გამო; ამასთანავე შვებულება უნდა მიეცეს ისეთ გლეხებს, რომლებიც საშიში არ არიან გაქცევის მხრივ და რომელთა შვებულებაში გაშვება უკმაყოფილებას არ გამოიწვევს ადგილობრივ მოსახლეობაში.

შვებულებაში გატარებული დრო ჩათვლილი იქნება სასჯელის მოხდის ვადაში, იმ პირობით, თუ დამნაშავე შვებულების დროის განმავლობაში არ ჩაიდენს სხვა ბოროტმოქმედებას, თავის დროზე დაბრუნდება შვებულებიდან და ნამდვილად მონაწილეობას მიიღებს იმ მუშაობაში, რომლისთვისაც ეძლევა შვებულება.

ეს დადგენილება ვრცელდება აგრეთვე დაპატიმრებულ წითელარმიელებზე და წითელ მეზღვაურებზე, რომელთა ჰასაკის წითელარმიელები დათხოვნილი იყვენ წითელი არმიის და ფლოტის რიგებიდან უვადო შვებულებაში

„ლენინის მიწა“

მოსკოვი, 22 აპრილი. საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. ს. დაადგინა გაგზავნოს გამომკვლევი ექსპედიცია საბჭოთა კავშირის ტერიტორიის ყველაზე უფრო უშორეს ჩრდილოეთ [illegible] ეგრეთ წოდებულ [illegible] კელლოვის მიწაზე. ექსპედიციის [illegible] ლის შემდეგ წმ. ნიკოლოზის მიწა [illegible] და მიწას დაერქმევა „ლენინის [illegible]

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

პოლიტიკური ცოდნის სკოლის გახსნა.

ახალ-სენაკი, 20 აპრ. პოლიტიკური განათლების მთავარ მმართველობამ გახსნა პოლიტიკური ცოდნის სკოლა 40 მსმენელისათვის.

წიგნები ქოხ-სამკითხველოებისათვის.

ფოთი, 20 აპრ. პოლიტიკური განათლების მთავარ მმართველობამ შეიძინა 1000 ცალი წიგნი, რომლებიც დაურიგდება მუშათა უბნების: ნახატურის, ნაბადეს და სოფელ რედუტკალეს ქოხ-სამკითხველოებს.

სამკითხველოებში მოწყობილია აგრეთვე გაზეთების ხმამაღლა კითხვა. ქოხ-სამკითხველოებში ყოველდღე დადის 800 კაცი.

აჭარისტანი

კრედიტი მუშებს და გლეხებს

ბათომი, 20 აპრ. აპრილის პირველ ნახევარში მუშკოოპმა მუშა-მოსამსახურეებს მისცა 40.000 მან. კრედიტი.

ბათომის ნავთსადგურში

ბათომი, 20 აპრ ბათომის ნავთსადგურში ამ ჟამათ სდგანან ნორვეგიის, ამერიკის, ინგლისის და გერმანიის გემები, რომლებმაც მოიტანეს ხორბალი; ამ გემებით გაგზავნილი იქნება ნავთის პროდუქტები.

ამინდი სოხუმში

სოხუმი, 20 აპრ. ზღვაზე სიწყნარეა. უკანასკნელ ხანებში თბილი ამინდია 12-15 გრად. წვიმები შესწყდა.

სომხეთი

წყალდიდობის საწინააღმდ ღონისძიებები.

ერევანი, 20 აპრ. სახელმწ საგეგმო კომისიამ დაამტკიცა შ გან საქმეთა სახალხო კომისარი მიერ წარდგენილი წყალდიდობის წინააღმდეგო ღონისძიებები.

განზრახულია მთელ რიგ ად ლებში კაპიტალური ჯებირების ბა. უახლოესი სამუშაობებისათვის დადებულია 150.000 მანეთი.

ლტოლვილები ართვინიდა

ერევანი, 20 აპრ. ამ დღე ართვინიდან ბათომში ჩავა 1 ლტოლვილი სომეხი, რომლებიც დან გაემგზავრებიან სომხეთ ლტოლვილებს დაასახლებენ ლე კანის მაზრაში.

მასწავლებელთა კონფერენ

ერევანი, 21 აპრილი. ივნისში ერ ვანში გაიხსნება მეორე საფეხ სკოლების მასწავლებელთა კონ რენცია.

ყინვები და წვიმები.

ერევანი, 21 აპრილი. ლენინაკან დან იტყობინებიან, რომ ყინვებ რომელსაც ადგილი ჰქონდა წარს კვირაში, დიდი ზიანი მიაყენა სახ თრო ნათესებს. განუწყვეტელი წ მები საშუალებას არ აძლევენ გლ ხებს გავიდენ მინდვრათ და შე მუშაობას. ცუდი ამინდის გამო შე ყვეტილია საამშენებლო მუშაობა

ყირგიზეთი

ყირგიზეთის ახალი დედა-ქალ

აკმეჩეთი, 21 აპრილი. ყირგიზ რესპუბლიკის დედა-ქალაქი 16 ა რილს ორენბურგიდან გადმოტა იქნა აკმეჩეთში.

ყინულის გალხობა.

დიდი უსტიუგი, 21 აპრილი. ჩრდ ლოეთ დვინაზე დაიწყო ყინულ გალხობა.

გამომგონებელთა ასოციაცია

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოსთან დაარსდა გამომგონებელთა ასოციაცია. დღემდე საქართველოში არ ყოფილა ისეთი ორგანიზაცია, რომელიც გააერთიანებდა გამომგონებელთ. ამიერიდან ეს ნაკლი ძლეულია. გამომგონებელთა ასოციაციის წესდება უკვე დამტკიცებულია სახალხო კომისართა საბჭოს მიერ. ამ ჟამად უკვე სწარმოებს წევრთა მიღება. უკანასკნელ დრომდე ჩაწერილია 100 კაცზე მეტი.

ასოციაცია, რომელიც აერთებს გამომგონებელთ ერთს ძლიერ ორგანიზაციაში, დ დაფუძნებულია პროფესიონალური ურთიერთ დახმარების ნიადაგზე, მიზნად ისახავს კოლლექტიური შემოქმედების საშუალებით ხელი შეუწყოს ახალ გამოგონებათა იდეის დამუშავებას, განხორციელებას და განვითარებას.

გამომგონებელთა ასოციაციის ამოცანათაგანია აგრეთვე დაი თავისი წევრების გამომგონებლ უფლებები, გაუწიოს გამომგონებ მეცნიერული ტექნიკური და თიერი დახმარება, შემოიღოს მიალური დასაჩუქრების სის ახალი გამოგონებისა და იდეის ძვრისათვის.

ასოციაციის წევრები იყოფიან ჯგუფად: 1) ნამდვილი—აქტიური გრები, 2) კანდიდატი წევრები 3) შემჯიბრებელნი. უკანასკნელ კა გორიას ეკუთვნიან ისეთი წევრ რომელნიც იმუშავებენ ერთი დ ვე იდეის გარშემო.

წევრების მიხედვით შემოღებუ სხვა და სხვა საწევრო გადასახად 10 შაურიდან 5 მანეთამდე წლ რად.

მეტის ატანა შეუძლებელია*)

VII

თბილისში ერთ მდიდარ სოვდაგარს ვიცნობდი, რომელსაც ოთხი, უმაღლეს სასწავლებელში კურსდამთავრებული შვილი ჰყავდა. პოლიტიკური რწმენის მიხედვით ამ სოვდაგრის ოჯახი ხუთად იყო გაყოფილი: მამა, როგორც ძველი დარბაისელი კაცი, თვითმპყრობელობის დიდი მომხრე და თაყვანისმცემელი იყო. როცა 1914 წელს ნიკოლოზ II თბილისში ჩამოსული თავის საკუთარის თვალებით დაინახა, მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მისი შვილები კი ოთხ სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებში იყვენ დარიგებული: ერთი დაშნაკი იყო, ერთი ეს-ერი, ერთი ბოლშევიკი და ერთიც მენშევიკი.

ერთხელ ჩემს სოვდაგარს ვკითხე: როგორ უყურებ შვილების ასე დაქსაქსვას სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებში მეთქი.—მან განცვიფრებით შემომხედა და მიპასუხა: ჭკვიანი კაცი ბრძანდები და როგორ ვერ მიმხვდარხართ, რომ ეს ჩემთვის ძლიერ სასარგებლო და სასიხარულო არისო. ამდენ პოლიტიკურ პარტიაში **ან ერთი გაიმარჯვებს ან მეორე**, და მეც მეტი რაღა მინდა? ან ერთი შვილი დაიხსნის ოჯახს, ან მეორე. და თუ გაწყრა ღმერთი და ყველა დამარცხდა, თავნიდან არც მაშინ დავკარგავ რასმეს. ჩემი საკუთარი პარტია, ჩემი თვითმპყრობელი ნიკოლოზი ხომ ცოცხალი მეყოლებაო.

ადვილად წარმოსადგენია, რომ ეს ჩემი ნაცნობი სოვდაგარი ამ შემთხვევაში გამონაკლისს არ წარმოადგენს. ასეთი ჭკვიანი და წინდახედული ოჯახები, ალბათ, დღესაც არიან და ყოველთვის იქნებიან ჩვენში. და თუ მე აქ მაინც ჩამოვაგდე ამაზე ლაპარაკი, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ჩემი ნაცნობი სოვდაგრის **წინდახედულობა და ანგარიში** ძალიანა ჰგავს ნ. ჟორდანიასა და მისი „მთავრობის“ **ანგარიშსა და წინდახედულობას.**

აბა კარგათ დაუკვირდით მათ მოქმედებას, თუ ეს ჩემი სოვდაგრის ფილოსოფია არ მოგაგონდეთ!

ნოე ჟორდანიას წერილს, რომელშიც ავტორს აგვისტო-სექტემბრის უბედურების მიზეზად კ. ანდრონიკაშვილი და „მისი ცეკა“**) გამოჰყავს, წინ უძღოდა ნოე რამიშვილის პროვოკატორული წერილი, რომელსაც ჩვენ უკვე ზემოთ გავეცანით. ამ **ორი ნოეს წერილები** სულ სხვა და სხვა შინაარსისა და ბუნების არის. აქ ისე გამოდის, რომ ერთი ნოე, დიდი ნოე, უარსა ჰყოფს აგვისტო-სექტემბრის **გამოსვლებს** და „ცეკასა“ და კ. ანდრონიკაშვილს პარტიიდან ერეკება. მეორე, ან როგორც მას აქ ეძახოდენ, საშუალო ნოე კი დიდი ნოეს სახელით სწერს იმავე „ცეკას“, აძლევს ახალ დირექტივებს: ბრძოლა არ შესწყვიტოთ, რკინისგზები და ნავთსადგურები დაანგრიეთ და ევროპას სალაპარაკო მასალა არ მოაკლოთო.

გულუბრყვილო მკითხველს აქ რაღაც გაუგებრობა ეჩვენება: თუ ნოე ჟორდანია უარს ამბობს, მაშასადამე ნოე რამიშვილს ტყუილი მოუწერია, მას სიყალბე ჩაუდენია, რიცა მისი სახელით ასეთ დირექტივებს იძლევა. ყოველ შემთხვევაში, ცხადია, ნოე ჟორდანიას არ სცოდნია, რომ რამიშვილი მისი სახელით ასეთ წერილებს იწერებოდა და პასუხისმგებელი მხოლოდ რამიშვილი უნდა იყოსო.

ასეთი მოსაზრება, სამწუხაროთ, უსაფუძვლოა და აი რატომ. ნოე რამიშვილის პროვოკატორული წერილისა და ნოე ჟორდანიას დასახელებულ წერილს შორის იმდენი დრო არის გასული, რაც სრულიად საკმაო იყო იმისათვის, რომ ნ. ჟორდანია რამიშვილის წერილს გასცნობოდა და თუ ის თავის გულისწყრომას საქვეყნოთ გაზეთებში არ გამოაცხადებდა, იმავე უბადრუკ „ცეკას“ მაინც აცნობებდა; ნოე რამიშვილი ჩემის სახელით პროვოკაციას ეწევა, არ დაიჯეროთ მისი რჩევა, ქვეყანა არ დაღუპოთო.

ნ. ჟორდანია ასე არ იქცევა: ის ყურებს იდუმებს და ნოე რამიშვილის პროვოკაციას ძალაში სტოვებს. შეიძლება მიბრძანოთ: ნოე ჟორდანიამ სულაც არ იცის ნოე რამიშვილის წერილის არსებობაო. ჩვენდა საუბედუროდ და სავალალოდ, ეს მოსაზრებაც საფუძველს მოკლებულია თითქმის ორი თვე გავიდა მას აქეთ, რაც ს. ორჯონიკიძემ ნოე რამიშვილის წერილი გაზეთ „ზარია ვასტოკაში“ გამოაქვეყნა. ეს გაზეთი ევროპაში ხომ მიდის და ნოე ჟორდანია, როგორც პუბლიცისტი და როგორც საქმით დაინტერესებული პირი, ალბათ, გაფაციცებით ადევნებს თვალ-ყურს რუსეთისა და განსაკუთრებით საქართველოს ცხოვრებას. მაშასადამე, მას არ შეეძლო ეს წერილი არ წაეკითხა. ეს გარემოება ჩვენ გვარწმუნებს იმაში, რომ ნოე ჟორდანიამ რამიშვილის წერილის არსებობა იცოდა და იცის, მაგრამ ამისდა მიუხედავად ის სდუმს. კ. ანდრონიკაშვილისა და მის „ცეკას“ კი პარტიიდან ერეკება:

„სერიოზულად ვაფრთხილებ პარტიას, როგორც ასეთი ტაქტიკიდან, ისე ასეთი ადამიანებიდან... კატეგორიულად მოვითხოვ პასუხს და განმარტებას“.

ასე ბრძანებს ნოე ჟორდანია და იმავე დროს ნოე რამიშვილს, ამ უბადრუკი „ცეკასა“ და „პარიტეტული კომიტეტის“ სულისჩამდგმელ ნოე რამიშვილს, არა თუ პასუხისგებაში არ აძლევს და პარტიიდან არ აძევებს, ის სულაც არაფერს არ ლაპარაკობს მის პროვოკატორულ წერილზე და მით ნოე რამიშვილის წერილს ადასტურებს.

მაშ რატომ სდუმს ნოე ჟორდანია რამიშვილის წერილის შესახებ? რატომ არ აფრთხილებს იგი თავის თანამოაზრებს ნოე რამიშვილის ავანტიურიდან?

ამ კითხვაზე მხოლოდ ერთადერთი პასუხი შეიძლება იყოს: ნ. ჟორდანია ამ შემთხვევაში ჩვენი ნაცნობი სოვდაგრის ფილოსოფიიდან გამოდის: **ან ერთი გაიმარჯვებს, ან მეორე!**

აქედან აშკარაა, რომ, ნ. ჟორდანიასა და მისი „მთავრობის“ ემიგრაციაში „მოღვაწეობა“ ორ-ტოტად გაყოფილა, ის ორ ნაკადათ მოდის ჩვენკენ, მას ორი მიმართულება მიუღია: ნოე ჟორდანიული და ძველი ჟორდანიულ-რამიშვილიური. მაგრამ ეს ორი ნაკადი ბოლოს ხელ-ახლად შეერთდებიან, ერთ კალაპოტში მოიყრიან თავს, ერთ მიზანს ემსახურებიან.

ეს ორი ნოე ისევ ისე ძველებურად შეთანხმებულად მოქმედებენ, ერთად განაგრძობენ ძველ გზას: საშუალო ნოე მოდის ძველი ავანტიურის გზით, ის „ძველი მებრძოლების“, ესე იგი იგივე „ცეკას“ ხელით სცდილობს ნარის მოთხრას, იმავე union sacrèe-ს ნიადაგზე აწარმოებს ბრძოლას. დიდი ნოე კი ამ გზაზე ვითომ უარს ლაპარაკობს, ის ახლოს ს.-დ. მ. პარტიას უბრუნდება და იმავე დროს არც ძველ პოლიტიკას უშვებს ხელს, არც ნოე რამიშვილს შორდება. აქ ამ ორ პოლიტიკაში განსხვავება სულაც არ არსებობს. აქ მხოლოდ როლების უბრალო განაწილებაა, სწორედ ისე როგორც მამალმა და ძაღლმა გაინაწილეს როლები:

შენ იყეფე, მე ვიყივლებ და ქვეყანა აშენდებაო.

დიდი ნოე გვიყივის, მისით ზურგ გამაგრებული რამიშვილი ჰყეფს. უხაროდეს საქართველოს: ან ერთი ააშენებს მას, ან მეორე...

VIII

მათი წყალობით საფრთხეშია ჩავარდნილი ქართველი ხალხის არა თუ ის ნაწილი, რომელიც თავის თავს უპარტიოთ აცხადებს, არამედ დიდი უმეტესობა იმ ყოფილი სოციალ-დემოკრატებისა, რომლებიც კომუნისტების პარტიაში გადაბარგდენ. ამათ დიდი ხანია რაც პროვოკაცია მოუწყო ს. ს.-დ. პარტიის „არალეგალურმა ცეკამ“. მან მისცა მათ ინდულგენცია (ცოდვების მიტევების მოწმობა, რომელსაც რომის პაპები დიდი სასყიდლის ფასათ აძლევდენ ქრისტიანებს) თავის „ცოდვათა შინა შთავარდნილ“ წევრებს, რომლებმაც ასეთი ნაბიჯი ვადადგეს.—დაუახლოვდით კომუნისტებს, შედით მაგ წითელი ეშმაკების პარტიაში; ნუ გეშინიათ, ჩვენ მაინც ჩვენადა გთვლით და როცა კომუნისტების ჯოჯოხეთი დაინგრევა, ჩვენ ხელ-ახლა მიგიღებთ ს.-დემოკრატიულ სამოთხეშიო.

ამ უბადრუკი „ცეკას“ ასეთ დადგენილებას ზედ დაუმატა ცნობილი ოთარის ცნობილი წერილი, რომელიც „ცეკას“ ზემოთმოყვანილ დადგენილებას ასე ასაბუთებს:

„მასიური პარტია, რომელიც იძულებული იყო, ასე ვთქვათ, **ლეგალობის დემობილიზაცია** მოეხდინა, რომ მასები არ დაეტოვებია ტერორისტულ დიქტატურისთვის პარტიული ვინაობის აშკარად აღიარების ნიადაგზე. ეს ლეგალიზაცია, რა თქმა უნდა, სწარმოებდა ჯერ მტკივნეულ კრიზისით, მაგრამ ის, საჭიროების მიხედვით, უნდა გაგრძელდეს ეხლაც. მასებმა ბრძოლა არ უნდა მისცენ, ასე ვთქვათ, ქვეშევრდომობის ფიცის მიუღებლობის ნიადაგზე“ (იხ. ოთარის წერილი. მუხლი 27).

ასე და ამნაირად ოთარი თეორეტიულ საფუძველს აძლევს „არალეგალური ცეკას“ დადგენილებას და თანაც სცდილობს ახსნას ის მოვლენა, რომ ს. ს.-დ. პარტიის მასები კომუნისტურ პარტიაში გადადიან. ამ მოვლენას ის „ლეგალობის დემობილიზაციათ“ აღიარებს და, როგორც ეტყობა, თავის ყოფილ სამწყსოს ისევ თავისათ სთვლის.—შედით კომუნისტურ პარტიაში, ნუ მისცემთ ბრძოლას ხელისუფლებას „ფიცის მიუღებლობის ნიადაგზე“, ჩვენ მაინც ჩვენად გთვლითო. ბ. ოთარიც ინდულგენციას იძლევა.

„არალეგალურ ცეკას“ და პატივცემულ ოთარს ავიწყდებათ, რომ რომის პაპები ინდულგენციას იძლეოდენ საშუალო საუკუნოებში და რომ მეოცე საუკუნეში ასეთი რაიმეს განმეორება შეუძლებელია. ბ. ოთარსა და „ცეკას“ უნდა მოვახსენოთ, რომ ისინი ერთობ ცუდ პირობებში აყენებენ თავის ამხანაგებს, სწორედ იმ ამხანაგებს, რომლებსაც ისინი წინდაწინვე აძლევენ ინდულგენციას. ბოლშევიკები გიჟები ხომ არ არიან, რომ ოთარისა და „ცეკას“ ასეთი მოწმობის შემდეგ ნდობით მოეპყრან ყოფილ სოციალ-დემოკრატებს, რომლებიც თავის ძველ პარტიას სტოვებენ და კომუნისტურ პარტიაში შედიან. რა თქმა უნდა ამის შემდეგ ისინი უნდობლად შეხედვენ ისეთ ყოფილ მენშევიკებსაც, რომლებიც „ლეგალობის დემობილიზაციას“ კი არ ახდენენ, არამედ სრულიად გულწრფელად იღებენ კომუნისტური პარტიის პროგრამას.

ყოველ შემთხვევაში ბ. ოთარს და მის ამხანაგებს ყველაზე უფრო ახასიათებს ეს „ლეგალობის დემობილიზაციის“ თეორია. ნუ თუ მათ მართლა ისე წარმოუდგენიათ, რომ ამ ოთხი წლის განმავლობაში საქართველოში „ლეგალობის დემობილიზაციის“, ან უფრო გასაგები ენით რომა ვსთქვათ, ბრძოლის იარაღის დროებით გადამალვის მეტი არაფერი არ მომხდარა. ნუ თუ მათ მართლა ჰგონიათ, რომ ის პოლიტიკური დროშა, ის იდეალები, რომლის ირგვლივაც იკრიბებოდენ ჩვენი პარტიული მასები თითქმის 30 წლის განმავლობაში, ისეთი რამ არის, რომ მისი დროებით გადამალვა შესაძლებელია; ნუ თუ მათ მართლა ჰგონიათ, რომ ამ მასებს შეუძლიათ მტრის თვალების ასახვევათ რწმენა გამოიცვალონ, დროებით მტრის დროშას თავი შეაფარონ და შემდეგ, რაც ბ. ოთარი ან ს. ს.-დ. პარტიის ვინმე სხვა გენერალი ბრძანებს, უკანვე დაბრუნდებიან ძველ პარტიაში. თუ ისინი ასე ფიქრობენ, უნდა მოვახსენოთ, რომ ისინი ერთობ ცუდი აზრის ყოფილან თავის პარტიულ მასებზე. ცხადია, რომ ყოფილი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ეს ყოფილი წევრები მათ წარმოუდგენიათ აოა რევოლიუციონერებად, არა მებრძოლებად, არამედ უბრალო მდაბიო მოქალაქეებად, რომლებზეც შეიძლება ითქვას: ვისიც ცეცხლი მაღალია, ისიც იმის მაყარიაო. ჩვენ პირადათ ვიცნობდით ასეთ მდაბიო მოქალაქეს, რომელიც 1905 წლის რევოლიუციის დროს ჯიბეში ორ პატარა დროშას ატარებდა—სამფეროვან ნაციონალურსა და წითელ-რევოლიუციონურს (1905 წლის რევოლიუციის დროს მოდაში იყო პატარ-პატარა წითელი დროშების გულზე გაკეთება). როცა ეს მოქალაქე ინტერნაციონალისა და მარსელიეზის გუგუნით მიმავალ მუშათა რაზმებს შეხვდებოდა—წითელ დროშას ამოაფრიალებდა ჯიბიდან, როცა „ბოჟე ცარია ხრანის“ გალობით მიმავალ იუნკრებსა და ხუცებს დაინახავდა, სამფეროვან დროშას გაიკეთებდა. ერთი მიბრძანეთ, რა განსხვავება ყოფილა ამ მდაბიო მოქალაქესა და ს. ს.-დ. პარტიის მასებს შორის. ნუთუ ს. ს.-დ. პარტია ასეთი მხდალებიდან შესდგებოდა? ეს ხომ უდიდესი ცილისწამებაა!

არა, ამხანაგებო და მოქალაქენო! ერთხელ და სამუდამოთ უნდა შევაფასოთ ის აზრი, რომ ამ ოთხი წლის განმავლობაში საზოგადოთ ქართველი ხალხის ცხოვრებაში და კერძოდ ს. ს.-დ. პარტიაში დიდი პოლიტიკური გარდატეხა მოხდა. ს. ს.-დ. პარტია, როგორც ზემოთაც მოგახსენეთ, ერთ საშინელ ისტორიულ თებერვლის დღეს,—იქნება ცოტა ადრეც, მაგრამ ამაზე სხვა დროს,—მოკვდა, როგორც პოლიტიკური პარტია. მაგრამ ხალხი, ამ პარტიის წევრები ხომ ცოცხალი დარჩენ. ამ ხალხმა დიდის სულიერი ტანჯვით და სისხლის ცრემლების ფრქვევით გამოიტირა თავისი საყვარელი პარტია, რომელსაც ის რამდენიმე ათეული წლების განმავლობაში თავგანწირულათ ემსახურებოდა, რომელსაც მან ათასობით შესწირა თავისი საუკეთესო ამხანაგების სიცოცხლე და რომელმაც მას ბოლოს ვერ გაუმართლა მისი დიდი იმედები, ვერ გაუნაღდა დაპირებები, ვერ მიიყვანა იგი აღთქმის ქვეყანამდე.

ეს მან თავის საკუთარის თვალებით დაინახა, ეს აუწყეს მას დამფუძნებელ კრების ტრიბუნიდან; ეს იყო თებერვლის ისტორიულ დღეს, როცა მას პარტიული ხმალი აჰყარეს, როცა პარტიული დროშა ხელიდან გამოაცალეს და ნაციონალურ ხმლათა და დროშათ გახადეს.

ამ უდიდესი კატასტროფის შემდეგ მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო: ყოფილი პარტიის ყოფილი წევრების უმცირესობა, სწორეთ ისინი, რომლებიც ამ პარტიის არსებობის პირველ დღიდანვე მთელი თავისი ძალღონით მას ემსახურებოდენ, დაღლილ-დაქანცულები ჩამოშორდენ ბრძოლის ველს. ულმობელმა ისტორიამ მათ ფეხ-ქვეშ გამოაცალა ძველი მყარი ნიადაგი, დააშორა თავიანთ ჩვეულებრივ საყვარელ სფეროს; ისინი ახალს ვერ შერიგებიან, კიდევ წარსულზე ოცნებობენ, წარსულით სულდგმულობენ, ისინი პარტიის რომანტიკოსები არიან. მათ ყველაფერი წარსულში დარჩენიათ... ესენი ნამდვილი ინვალიდები არიან. ესენი უკვე მოკვდენ, როგორც პოლიტიკური მებრძოლები და დღეს მხოლოდ მიწას ამძიმებენ...

ს. ს.-დ. პარტიის წევრების დიდმა უმეტესობამ უფრო მალე შეუწყეს ფეხი ახალი ცხოვრების მი დინარეობას, მათ მალე „შეუბრუნ ნაღველსა ხელი“ და ახალი გზებ ძებნას შეუდგენ. მათ დიდი ძებნა თავის ტეხაც არ დასჭირებიათ; მ წინ მხოლოდ ორი გზა იყო: ისინ ან თავის საყვარელ პარტიასთან ერ თად უნდა მომკვდარიყვნენ, ესე იგ ან უნდა ჩაფლულიყვნენ მეშჩანობის აყროლებულ ჭუჭყში და ჯიბით ორ-ორი სხვადასხვა ფერი დრო ეტარებიათ, ან და გადაშვებულიყვ ცხოვრების აბობოქრებულ ზღ ტალღებში და სამკვდრო-სასიცო ხლო ომში აქტიური მონაწილეო მიეღოთ. სისოცხლეს მოწყურებულ ხალხი საფლავებს ვერ მიაჩერდებო და; ის ცრემლის ღვრით ვერ დაკ ყოფილდებოდა... მას სურს მუშაობა სურს წინსვლა, სურს ბრძოლა მუ გარი, შეუპოვარი... სიცოცხლის წყ ვილმა თავისი გაიტანა: მათ სისხლიან ცრემლებით გამოეთხოვენ ძვირფას საფლავს და ახალი ბრძოლის გზ გაუყვენ...

აი რა მოხდა, ამხანაგებო და მოქალაქენო! აი როგორია ცხოვრები სინამდვილე და არა ის, რომ ყ ფილმა სოციალ-დემოკრატიულმა მ სებმა ვითომ „ჩეკას“ შიშით თავისი დაცემულებმა, „ლეგალობის დემო ბილიზაცია“ მოახდინეს, რომ მა დროებით მიმალეს თავისი პოლიტიკური დროშა-ალამი, რომ მა მიწაში ჩაფლეს ბრძოლის იარაღი —როგორც ამას ჩვენ ვსჩადიოდით 1905 წლის რევოლიუციის დამარ ხებისა და შავ-ბნელი რეაქციის გ მარჯვების დროს,—რომ მათ მერე პარტიაში ჩაეწერენ, მას ერთგულ ბის ფიცი მისცეს და როცა საზღვარ გარეთიდან ძლევა-მოსილი ნოე რა მიშვილი საქართველოში დაბრუნ დება და მათ თითს დაუქნევს, ისინ კომუნისტების პარტიას მიატოვებ და რამიშვილის პარტიაში დაბრუნ დებიან. ტყუილი იმედია! ყოფილი ს დემოკრატები, ისინი, ვინც კომუნის ტურ პარტიაში გადავიდნენ, ბოლო დე იბრძოლებენ ამ პარტიაში. მათ უკვე დასწვეს უკან დასაბრუნებე ხიდი. ისინი ან გაიმარჯვებენ პარტიასთან, ან მასთან ერთად და ღუპებიან.

და ჩვენც გამარჯვება ვუსურვო მებრძოლ ამხანაგებს. წავიდნენ ც არ არსებულ პარტიიდან. იბრძოლონ თავგამოდებით...

ყარიბი.

(შემდეგი იქნება).

---

*) გაგრძელება. იხ. „კომუნისტი“ № 88.

) როგორ მოგწონთ ეს „მისი ცეკა“, კ. ანდრონიკაშვილი და „მისი ცეკა“? აბა ვინ არ იცის, რომ ეს უბედური „ცეკა“ **დამარცხებამდე ნ. ჟორდანიასა და მისი „მთავრობის“ იყო, დამარცხების შემდეგ კი კ. ანდრონიკაშვილს უგდებენ მას! მოდით და აქაც ნუ იტყვით: Vae victis!—ვაი დამარცხებულთ!

ავტორი.

მარცხი რკინისგზაზე

მატარებლის გაწყვეტა გომი-ხაშურის გადასარბენზე.—დაიმტვრა ერთი ქვაბი, დაზიანდა—1, დაზიანდა ორთქლმავალიც.—დაჭრილია ერთი კონდუქტორი.—კასპი-ქსანის გადასარბენზე მატარებელი ლიანდაგს ასცდა.—მიმოსვლა—აღდგენილია

მატარებლის გაწყვეტა

21 აპრილს, ღამის პირველ საათზე საგეზო (სამარშრუტო) მატარებელს № 106, რომელიც მიდიოდა სად. გომიდან ხაშურში, მოწყდა 9 ქვაბი. მატარებლის მოწყვეტილი ნაწილი გამობრუნდა უკან გომისაკენ, სადაც დაეჯახა პირველ ხაზზე მდგომ ორთქლმავალს. ერთი ქვაბი სავსებით დაიმტვრა, მეორე დაზიანდა. დაზიანდა აგრეთვე ორთქლმავალი. დაჭრილია 1 მემუხრუჭე. უბედურების ადგილზე 1 საათზე და 5 წუთზე გაიგზავნა დამხმარე მატარებელი, რომლის შემწეობით გზა გაწმენდილ იქნა.

გზის დაზიანების გამო მატარებელი № 4 დაკავებულ იქნა გომში ერთი საათით.

მატარებლის გაწყვეტის მიზეზი იყო ის, რომ თავის დროზე არ ყოფილა მოთხოვნილი მიმწოლი ორთქლმავალი გომიდან, მატარებლის სიმძიმე კი უდრიდა 75.000 ფუთს.

მატარებლის აცდენა ლიანდაგიდან

22 აპრილს დაახლოებით 1 საათზე და 45 წუთზე კასპი-ქსანის გადასარბენზე № 100 საგეზო მატარებლის მესამე ქვაბი ბოლოდან ასცდა ლიანდაგს. მატარებლის პირველი ნაწილი ჩავიდა სად. კასპში 3 საათზე 50 წუთზე; დარჩენილი და ჩავარდნილი ქვაბების ამოსაღებად 5 საათზე და 50 წუთზე თბილისიდან გაიგზავნა დამხმარე მატარებელი. გადავარდნილი ქვაბები ამოღებულ იქნა 8 საათზე 50 წუთზე. პირდაპირი მიმოსვლა მთელს ხაზზე გაიხსნა 22 აპრილს 9 საათზე.

პარტიული ცხოვრება

რ. კ. პ. ცეკას დადგენილება სოფლად მუშაობის შესახებ

რ. კ. პ. ცეკას მდივანმა ამხ. მოლოტოვმა ადგილებზე წარმოებული მუშაობის გაცნობის მიზნით შემოიარა ტამბოვის, კურსკის და ტულის გუბერნიები.

ამხ. მოლოტოვის მოხსენების გამო ცეკამ მიიღო შემდეგი დადგენილება:

1) მიღებული იქნეს ზომები, რათა სწორად და თავის დროზე იქნეს გადაწყვეტილი ცენტრში საკითხები შეღავათების შესახებ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შეგროვების სფეროში, და აგრეთვე მიღებული იქნეს ზომები მათ თავის დროზე გასატარებლად ადგილებზე.

2) საჭიროა ისეთი ღონისძიებების მიღება, რომლებიც ხელს შეუწყობენ შინა-მრეწველობის განვითარებას.

3) მიღებული იქნეს ზომები ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ საბრძოლველად კოოპერაციაში.

4) საჭიროა სწორად შედგენილი და დახარჯული იქნეს ადგილობრივი, კერძოდ, სათემო ბიუჯეტი.

5) საჭიროა ეცნობოს ადგილობრივ ორგანიზაციებს, რომ დაუშვებელია საბჭოთა კონსტიტუციის ფართოდ გაგება საარჩევნო უფლების წართმევის საკითხში.

6) საჭიროა გაძლიერებული იქნეს ადგილებზე საბჭოთა ორგანოებისათვის პარტიული ხელმძღვანელობის გაწევა.

7) საჭიროა ცოცხალი და სისტემატიური ხელმძღვანელობის გაწევა ქვედა საფეხურის პარტიული ორგანიზაციებისათვის სოფლად; საჭიროა გაუმჯობესებული იქნეს იმ სასოფლო თათბირების მუშაობა, რომლებსაც იწვევენ საგუბერნიო კომიტეტები.

8) საჭიროა, რომ სოფლად მომუშავე კომუნისტებმა პირადი კავშირი დაამყარონ ყველაზე უფრო აქტიურ უპარტიო გლეხებთან, საჭიროა აგრეთვე ამ უკანასკნელთა წამოყენება საზოგადოებრივ სამუშაოზე.

9) საჭიროა გაგზავნილი იქნეს სოფლად რამოდენიმე ათასი პროპაგანდისტი და გაფართოებული იქნეს მოკლევადიანი კურსების და სკოლების ქსელი.

10) საჭიროა პარტიაში ჩაბმული იქნენ მოწინავე გლეხები და კომკავშირის აქტივი.

11) საჭიროა დაწყებული იქნეს კამპანია მოხალისეების (რ.კ.პ. წევრების) სოფლათ გამგზავრებისათვის.

12) საჭიროა ყურადღება მიექცეს პარტიული გადაწყვეტილებების შესრულების შემოწმებას და საერთოდ მათ ფაქტიურ გატარებას ცხოვრებაში.

ცოტა რამ დისციპლინის შესახებ

დღეს პარტიული მუშაობის გამოცოცხლების საკითხს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. პარტიული კადრების ისეთი მომზადება, რომ ის ადვილად გაერკვიოს ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობის საკითხებში, რომ პარტიის წევრი მაგალითი გახდეს უპარტიო მშრომელი მასისათვის, აი საითკენ არის მიმართული ამჟამად ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების ყურადღება.

ჩვენ აქ გვსურს შევეხოთ დისციპლინის საკითხს უჯრედების მუშაობის პროცესში.

პარტიის ან კომკავშირის ორგანიზაციას მარტო ის მიზანი კი არა აქვს, რომ კვირაში ერთხელ ან ორჯერ მოხდეს უჯრედის სხდომა და გაირჩეს ესა თუ ის საკითხი. ორგანიზაციას აქვს აგრეთვე უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა. ორგანიზაციაში თვითეული ჩვენი ამხანაგი ღებულობს ცოდნას და გამოცდილებას, ეჩვევა დისციპლინარულ მუშაობას, კოლექტიურ აზროვნებას და სხვა.

ხოლო ყოველივე ეს მაშინ, როდესაც დისციპლინა თავის დონეზე დგას. მაგრამ, თუ დისციპლინა მოისუსტებს, მაშინ ვღებულობთ საწინააღმდეგო შედეგებს.

ავიღოთ მაგალითად უჯრედის კრების წესრიგის და კრებაზე დაგვიანების საკითხი. უჯრედის კრება უმეტეს შემთხვევაში არ მიმდინარეობს ისე, როგორც საჭიროა. განსაკუთრებით ეს ეხება უმაღლეს სასწავლებლების უჯრედებს. მდივანი გახსნის თუ არა უჯრედის სხდომას, ხუთი წამი და ხშირათ ათიც ხმარდება კრების თავმჯდომარის არჩევას, რაც პირდაპირ დაუშვებელი მოვლენაა. შემდეგ კრებაზე კერძო საუბარი, თამბაქოს მოწევა და სხვა ასეთები ჩვეულებრივი მოვლენაა.

რაც შეეხება დაგვიანებას თითქმის იშვიათი მოვლენაა, რომ უჯრედის სხდომა დანიშნულ დროზე გაიხსნას. ყველაფერი ეს თუმცა წვრილმანებია, მაგრამ მას დიდი მნიშვნელობა აქვს ორგანიზაციის საერთო მუშაობაში სწორედ ამით აიხსნება ის, როდესაც ზოგიერთ უჯრედებში პარტიის ან კავშირის წევრი იმის მაგივრად, რომ მთელი თავისი არსებით ჩაებას მუშაობაში, მას გული უცრუვდება პარტიულ მუშაობაზე და პარტიის დავალებებს გულგრილად ეპყრობა.

ამას გარდა, როგორც ვიცით უჯრედების კრებას სისტემატიურად ესწრებიან უპარტიო ამხანაგები და ეს „წვრილმანები“ მათზე დიდ უარყოფით გავლენას ახდენენ.

ამ ნაკლის გამოსწორებას თავის დროზე უნდა მიექცეს ყურადღება. თვით უჯრედების ბიუროები უნდა შეეცადონ, რომ პარტიის და კავშირის რიგებში დისციპლინა დადგეს თავის დანიშნულების დონეზე.

ქ. წ—ლი.

პარტიული მუშაობა რაჭის მაზრაში

მუშაობა სააგიტაციო-საპროპაგანდო დარგში.

რაჭის მაზრაში უკვე დიდი ხანია, რაც განზრახულია გაიხსნეს პარტსკოლა, რომელიც თავის კედლებიდან გამოუშვებდა სათანადოთ მომზადებულ პარტამხანაგებს, რომლებსაც ასე საჭიროებს ხსენებული მაზრა. მაგრამ სამწუხაროდ თანხის უქონლობის და მომზადებული ლექტორების უყოლობის გამო ვერ მოხერხდა მისი გახსნა. სკოლა დღესაც არ არის.

მაზრაში არის წ. | კ. უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლები, რომლებშიაც სწავლობენ 1393 კაცამდე. უპარტიოთათვის დაარსებულია პოლიტ-წრეები, სადაც საკმაოდ ხდება საბჭოთა პლატფორმაზე მდგომ მასწავლებლების გამოყენება.

განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ხტოვებს გლეხკაცობაში ს. კ. პ. ცენტ. კ-ტის მიერ გამოცემული გლეხური გაზეთი „ახალი სოფელი“, რომელსაც უბრალო წ | კ. მცოდნე რაჭველი გლეხიც ხარბათ ეტანება. მხოლოდ საჭიროა ადგილობრივად მცხოვრებ გლეხებში გა. „ახალი სოფლის“ გავრცელების საქმე ჯეროვანათ მოგვარებულ იქნას.

მაზრა ცენტრიდან იღებს ლიტერატურის ძალიან უმნიშვნელო ნაწილს, რასაც ამთავითვე უნდა მიექცეს შესაფერი ყურადღება ცენტრის მიერ.

ქალთა შორის მუშაობა.

რაც შეეხება ქალთა შორის მუშაობას, უნდა აღინიშნოს, რომ ქალების კულტურული განვითარების დონე ვერ სდგას საკმაო სიმაღლეზე, რაც არ იძლევა საშუალებას მათ შორის ფართე აღმზრდელობითი ხასიათის მუშაობის საწარმოებლად.

მიუხედავათ აღნიშნულ დაბრკოლებისა, ქალთა განყოფილებამ ადგილ-გარემოების შეფარდებით ჩაატარა დელეგატ-ქალთა ჩვეულებრივი კრებები შემდეგ ადგილებში: ქალაქ ონში, პატ. ონში, ამბროლაურში, ნიკორწმინდაში, სხვავაში, ზუგეულში და ხოტევში.

ყველა დასახელებულ ადგილებში ამომრჩეველთა რიცხვი უდრის 1680-ს რომელთაგან არჩეულია 179 დელეგატი ქალი. გლეხკომების მუშაობაში მაზრის მასშტაბით ჩაბმულია 55 ქალი.

ასე რომ, საერთოდ, ქალთა განყოფილების მუშაობა მიმდინარეობს მეტად დამაკმაყოფილებლად.

კირ. პატარაია

თბილისის რადიო-სადგურის გაფართოება

ახალი ანძის დადგმა.—რადიო-სადგურის შენობის საძირკველის ჩაყრა

თბილისის რადიო-სადგური მდებარეობს ნავთლუღის ბოლოზე, მტკვრის პირათ. აქნობამდის მას ჰქონდა მხოლოთ ერთი ანძა 120 მეტრის სიმაღლისა. მისი მოქმედების ძალა სწვდებოდა 1800 კილომეტრამდის. რადიოს დღითი დღე განვითარების გამო თბილისის სადგურის მოთხოვნილებაც გაიზარდა.

საჭირო შეიქნა მეორე 120 მეტრიან ანძის აგება. პირველი ანძა აგებულია ბერლინში. მეორე კი გააკეთა ლენინგრადის „ლითონის ქარხანამ“. ახალი ანძა სწორეთ ისეთივეა და იმავე ზომისა, როგორც პირველი.

გუშინ, 22 აპრილს მოხდა ამ ახალი ანძის აღმართვა მისი სიმძიმე უდრის 2.400 ფუთს, სიმაღლე კი, როგორც აღვნიშნეთ 120 მეტრს. მის ასაყენებლათ მოწყობილ იქნა საგანგებო აზარმაცი და ჩარხი.

სწორეთ დილის 8 საათზე, თორმეტი მუშის მარჯვენამ აამუშავა მთელის ძალ-ღონით რკინის ჩარხი და ეს უზარმაზარი კოშკიც დაიძრა თავის სამკვიდროდან ცის სიმაღლისკენ. ის ისე ნელ-ნელა მიიწევს ზევით, რომ თვალი ერთბაშათ ვერაფერს ამჩნევს. მაგრამ დაქანცულ მუშებს სცვლიან ახალ-ახალი ჯგუფები და ადამიანის ნების-ყოფა მაინც გამარჯვებული გამოდის. ნაშუადღევის 4 საათზე ანძა უკვე აღმართულია.

ახალი ანძის მახლობლათვე შენდება ახალი სადგური. ეს რადიო სადგური იქნება მხოლოდ გადამცემი, რომლის ძალაც გასწვდება 3.000 კილომეტრამდის. ეს იქნება რადიო-ტელეგრაფიც და რადიო-ტელეფონიც.

ეს ცის კამარაში ატყორცნილი რკინის კოშკები ყოველი წუთით ჩვენ გვაკავშირებენ მთელი ქვეყნის მაჯის ცემასთან. მისი წყალობით ჩვენ შეგვეძლება მოვისმინოთ სულ ხმა-დაბალი ბაასიც კი ლენინგრადიდან, რომიდან და სხვა ცენტრებიდან.

ამ დღისათვის საგანგებოთ იყვნენ მოწვეული მთავრობისა, პარტიულ ორგანიზაციებისა, სხვადასხვა ტეხნიკურ დაწესებულებათა და პრესის წარმომადგენელნი.

ამხ. **ელიავამ** დილიდვე ინახულა რადიო-სადგური და დაათვალიერა ყველა სამუშაო ადგილები.

ანძის გაკეთება და აღმართვა მინდობილი აქვს „მაშინოსტროის ტრესტს“.

მთელი დღის განმავლობაში მუშაობის სანახავათ მოდიოდენ ტეხნიკურ სასწავლებლებისა და აგრეთვე დაბალ სკოლების მრავალი მოწაფენი, რომლებიც დიდის ინტერესით ათვალიერებდენ ყოველ კუთხეს.

მუშაობა მთელი დღის განმავლობაში წესიერათ მიმდინარეობდა. ამინდიც კარგი იყო, ქარიც ძალიან სუსტი იყო და ამიტომ ხელი არაფერს არ შეუშლია.

მოამბე.

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა მესამე ყრილობა

პირველი სხდომა.

სხდომა იხსნება საღამოს 7 საათზე ამხ. **ნიკო კიკნაძის** თავმჯდომარეობით.

ამხ. კიკნაძის მოკლე შესავალი სიტყვის შემდეგ ყრილობა ირჩევს პრეზიდიუმს, სარედაქციო კოლეგიას, სამანდატო კომისიას და საპატიო თავმჯდომარეებს.

პრეზიდიუმი.

პრესის მუშაკთა სექციის ბიუროს და კომფრაქციის წინადადებით, პრეზიდიუმში არჩეული იქნენ შემდეგი ამხანაგები:

ივანოვი, ვალ. ბახტაძე, ავენირი, მალოშხია, ნიკო კიკნაძე პავჩინსკი, ქაცარავა, ილ. ვარდინი-მგელაძე, შაპოშნიკოვი, ნადირაძე, აჩარსკი და ნატროშვილი.

სარედაქციო კოლეგია.

კუზმინა, ვარდინი და ავენირი.

სამანდატო კომისია.

კასპაროვი, ხალათიანი და ყარაულოვი.

საპატიო თავმჯდომარეები.

ორჯონიკიძე, მახარაძე, ორახელაშვილი, ბუხარინი, სტალინი, კრუპსკაია და მარიამ ულიანოვა.

დღის წესრიგი.

შემდეგ ყრილობამ დაამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი: 1) ბეჭდვითი სიტყვის პოლიტიკური მდგომარეობა და ამოცანები, 2) ამხანაგი ივანოვის ინფორმაციული მოხსენება პრესის მუშაკთა სრულიად საკავშირო სექციის ცენტრალურ ბიუროს მუშაობის შესახებ, 3) განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრალურ ბიუროს მოხსენება, 4) სექციის ცენტრალურ ბიუროს ანგარიში: სატარიფო და ეკონომიურ დარგში მუშაობის, კულტმუშაობის და შრომის დაცვის შესახებ, 5) ამიერკავკასიის დეპეშათა სააგენტოს ანგარიში, 6) მოხსენებები ადგილებიდან, 7) ახალი დებულება სექციის შესახებ, 8) მოხსენება საქართველოში ბეჭდვითი სიტყვის მდგომარეობის შესახებ, 9) თანამოხსენება საგაზეთო გაერთიანების შესახებ, 10) ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციის ცენტრალურ ბიუროს არჩევნები, 11) ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა საკავშირო ყრილობაზე დელეგატების არჩევა, 12) მიმდინარე საქმეები.

ამხ. ივანოვის მოხსენება

პრესის მუშაკთა სრულიად საკავშირო სექციის ცენ. ბიუროს სახელით მოხსენებას აკეთებს ამხ. ივანოვი, რომელიც აღნიშნავს, რომ პირველ ხანებში სექციის მუშაობა მოდუნებული იყო, მაგრამ პრესის მუშაკთა სრულიად რუსეთის მე-4 ყრილობის შემდეგ სექციას მტკიცე საძირკველი ჩაეყარა, ის საწარმოო სექციათ გახდა და მუშაობაც გაცხოველდა.

სექცია იზრდება როგორც წევრების რიცხვით, ისე ღირსების მხრივ ამჟამად სექციის წევრების 72 პროც. შეადგენენ ტეხნიკური მომუშავეები და 28 პროც. ლიტერატორები, ჟურნალისტები და პასუხისმგებელი მუშაკები. სოციალური შემადგენლობის მხრივ 17 პროც. მუშებია, 17 პროც. გლეხები და დანარჩენი—ინტელიგენტური შრომის მუშაკები. მუშების რიცხვი თანდათან იზრდება, მსხვილ ცენტრებში, მაგალითად, მოსკოვის ორგანიზაციაში ისინი 43 პროც. შეადგენენ.

შემდეგ მომხსენებელმა დაწვრილებით დაახასიათა ცენტ. ბიუროს მუშაობა საკავშირო მუშაობის ყველა დარგებში და აღნიშნა, რომ სექციის მუშაობა კიდევ უფრო გასაცხოველებლათ საჭიროა ქვედა საფეხურის ორგანოების მუშაობის გაუმჯობესება.

ამხ. ივანოვის მოხსენების შემდეგ საქართველოს განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრალური გამგეობის მუშაობის შესახებ ინფორმაციული მოხსენება გააკეთა ამხ. [illegible], რომელმაც დაახასიათა მიმდინარე მუშაობა და მომავალი მუშაობის გეგმა.

სხდომა დაიხურა 9 ნახ. საათზე.

ქრონიკა

სპარსეთის გენერალური კონსული ამხ. მ. ორახელაშვილთან.

21 აპრილს ამიერ-კავკასიის სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ორახელაშვილმა მიიღო სპარსეთის გენერალური კონსული კავკასიაში მოფატ-ოლმოლქი და უკანასკნელის მოადგილე მირზ-იზმაილ-ხან-ფერიდეს-სულთანი და ჰქონდა მათთან ხანგრძლივი საუბარი.

ბინის ქირები კურორტებზე

ქ. აღმასკომმა დაამტკიცა კურორტებზე ბინების ქირის ცხრილი, რომლის მიხედვით ის მუშა-მოსამსახურენი, რომლებიც თვეში ღებულობენ 75 მანეთამდე, სეზონის განმავლობაში კვადრატიულ არშინზე იხდიან 1 მან., 75 მანეთზე ზევითკი — 1 მან. 50 კაპ.

ტრამვაი თბილისსა და კოჯორს შორის.

თბ. აღმასკომმა დაავალა ზაჰესის სატეხნიკო განყოფილებას გამოიმუშაოს პროექტი კოჯორში ტრამვაის გასაყვანათ. ტრამვაის ხაზი უნდა დაიწყოს ავლაბრის ხიდიდან ბოტანიკურ ბაღზე გაგლით და კრწანისში შეხვევით გაემართება კოჯორისაკენ.

— [illegible] კავშირს ქ. აღმასკომმა გადასცა კრწანისში მდებარე ბაღი.

— **მუშათა სახლისათვის.** ქ. აღმასკომმა მელითონეთა კავშირს გადასცა ელისაბედის ქ. მდ. № 1 სასტუმრო „პრიმა“ მუშათა სახლის მოსაწყობათ.

— **სანიტარულ-ტეხნიკურ** და წყალსადენის დარგებში მომუშავეთა საკავშირო ყრილობაზე, რომელიც შესდგება მოსკოვში 26 აპრილს, ქ. აღმასკომმა დაადგინა გაგზავნოს 6 წარმომადგენელი.

— **უმუშევრობასთან ბრძოლა, სოფლის მეურნეთა შორის.** მიწადმოქ. კომისარიატი შრომის კომისარიატთან ერთად შეუდგა სოფლის მეურნეთა შორის უმუშევრობასთან ბრძოლას სასოფლო-სამეურნეო კოლექტივების მოწყობით. კოლექტივები მოწყობილი იქნება უმუშევარ გლეხებისა და უვადო შვებულებაში წასულ წითელ-არმიელებისაგან.

— **ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტმა** სათანადო ორგანოდან გამოითხოვა 40.000 მან. აღნიშნულ ინსტიტუტთან ტროპიკულ სნეულებათა კლინიკის გასახსნელათ.

— **ფულადი დახმარება უმუშევრებს.** 27 აპრილიდან უმუშევართა დამზღვევი განყოფილება გასცემს აპრილის თვის ფულად დახმარებას იმ უმუშევრებზე, რომელთაც აქვთ წიგნაკი № 1201-დან 1800-მდე.

— **საქ. სასოფლო-სამეურნეო ბანკმა** მაზრებში დაანაწილა მევენახეთა შორის 35 ათასი ფუთი შაბიამანი და 30 ათასი ფ. გოგირდი.

მუშათა ცხოვრება

ამხ. „კამო“-ს სახელობის საავადმყოფო

(ჯანსახკომის საყურადღებოდ)

ამხ. „კამო“-ს სახელობის საავადმყოფოს ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს მთელი საბჭ. საქართველოს მასშტაბით.

ექიმთა პერსონალის შერჩეული შტატი და მათი თავდადებული მოღვაწეობა ერთი-ორად ამაღლებს საავადმყოფოს პრესტიჟს და ზრდის მის პოპულიარობას მუშა-მოსამსახურეთა ფართე მასაში. მიუხედავათ ამისა, მას აქვს ერთგვარი ნაკლიც, რომელიც დროზე უნდა გამოსწორდეს.

საავადმყოფო ერთობ უმწეოა და ღარიბი როგორც სასადილო ისე საექიმო ინვენტარით:

ავადმყოფთა სასადილო ჭურჭლეულობა ძველია და გაცვეთილი.

დაწყებული უბრალო კოვზით, გათავებული თეფშებით პირდაპირ უვარგისია.

ბევრი სრულიად მოუკალავია და რომელიც მოკალულია, სიძველისაგან ისიც ცვდება და ლამის მოიშალოს.

ავადმყოფთ ჭამის დროს არა-ერთხელ შეუმჩნევიათ **კალის** „ნაფხვენი“, რისგანაც მოსალოდნელია უბედური შემთხვევა. ყოველივე ამ ხიფათისაგან ავადმყოფთა თავის დაღწევა მოითხოვს ამ გარემოებისადმი ჯეროვან ყურადღებას.

შემჩნეულია აგრეთვე სხვა და სხვა მოსამსახურეთა შორის ფუნქციების არევ-დარევა...

თითქმის ყოველ-დღე სადილის „გამრიგებელნი“ (ავადმყოფთათვის) იხმარებენ „მომვლელთ“ (сиделка) რაიც პირდაპირ დაუშვებელია, თუნდა მარტო ჰიგიენური მოსაზრებით, რომელთაც ობიექტურად არ ძალუძთ ჯეროვანი სისუფთავის დაცვა.

იშვიათი არაა, ისეთი შემთხვევები, როცა „მოწყალების დები“, თავის საკუთარ საქმეებს აჩრიან ხელში „მომვლელთ“. ესეც დაუშვებელია.

ამასთანავე საავადმყოფო მოკლებულია საჭირო სადღომ დგამებს.

ავადმყოფნი სადილობენ იმავე სკამზე, რომელზედაც შემდგომ სხდებიან თვითონ ისინი, ან და სტუმრები.

სადღომი სკამები სხვა უნდა იყოს და „სუფრის“—კი სხვა.

საჭიროა ამ გარემოებას ამ თავითვე გაეწიოს ანგარიში და ამის მოსაგვარებლათ გაღაიდოს იმ თანხის ნაწილი, რომელიც ამ ხანათ **დამზღვევ კასსამ** გადასდო აღნიშნულ საავადმყოფოს კეთილ-მოწყობისათვის.

ინჟ. კარდონი.

მადლობის ღირსნი არიან

ცეკავშირის და წარმოკავშირის კოოპერატიულ კურსებზე წითელარმიელებს დიდ დახმარებას გვიწევენ. ამ კურსებზე წითელარმიელები მიგვიღეს და გვასწავლიდნენ კოოპერატიულ მშენებლობას და მასში მუშაობას. მაგრამ არ დავიწყებიათ არც ის, რომ ჩვენ არ გვქონდა ნივთიერი საშუალება შეგვეძინა სამოსწავლო ნივთები და ამ მხრივაც ისევ მათ გამოგვიყვანეს უხერხულ მდგომარეობიდან და ასეთივე ჩვენც მოგვცეს. ამ ორგანიზაციებმა თავის ხარჯზე დაგვირიგეს თითქმის ყველა საჭირო სამოსწავლო ნივთები, რითაც საშუალება მოგვცეს შევისწავლოთ კოოპერატიული მშენებლობა და მისი საქმეების წარმოება, რათა სამხედრო სამსახურის გათავების შემდეგ მივევლინოთ ჩვენი რესპუბლიკის სხვა და სხვა კუთხეებს და ხელი შევუწყოთ საბჭოთა მშენებლობის ერთ-ერთი უმთავრესი დარგის კოოპერაციის გაძლიერებაში.

ასეთი დახმარებისათვის მსმენელი წით. არმიელები გულწრფელ მადლობას უცხადებენ ზემო აღნიშნულ დაწესებულებებს.

წ | არ-თა მონდობილობით წ|არ-ლი

ე. მაღლაკელიძე.

გაგვიხსენით კოოპერატივი

(„ზაკტპო“-ს და მუშკოოპის საყურადღებოდ)

სადგურ და სოფ. მუკუზანის მუშები და გლეხები განიცდიან აუწერელ გაჭირვებას უდუქნობის გამო. ერთი კოლოფი წუმწუმისათვის აქაური გლეხი იძულებულია იმგზავროს სოფელ ველისციხეში, რომელიც დაშორებულია 5—6 ვერსის მანძილზე. სურსათს სრულებით აქაც ვერ შოულობენ. აშკარად დატანჯულნი არიან აქ მცხოვრებლები.

სადგურ მუკუზანის მუშა-მოსამსახურეებიც ამავე დღეში არიან. საჭიროა სასწრაფოდ მიექცეს ყურადღება მუკუზნელებს და აქ გაიხსნას კოოპერატიული დუქანი.

მუშკორი **წუმწუმა.**

ჩვენი პასუხი

(ინჟ. ელიზბარს)

ფსიქიატრიულ დახმარების საქმე ჩვენში მძიმე მდგომარეობაში იმყოფება. არას ვამბობთ საერთო უარყოფით პირობებზე, რომელშიდაც უხდებათ მუშაობა ჩვენს საავადმყოფოებს შტატის და მომარაგების მხრივ, მაგრამ სწორედ აუტანელია ჩვენი მდგომარეობა, როდესაც საწოლების რიცხვი ერთი ათად ნაკლებია მოთხოვნილებაზე. ეს იცის მთავრობამ, მაგრამ ჯერ-ჯერობით მატერიალური შეძლება არ არის მეტისა. არსებული საავადმყოფოების მუშაობა კი რამოდენიმეჯერ უფრო ინტენსიურია, ვიდრე ეს უწინ იყო. თუ თბილისის საავადმყოფო ომამდე იღებდა წელიწადში მხოლოდ 50 სულით ავადმყოფს, ეხლა ის იღებს 300. მეტი რა უნდა მოეთხოვოს საავადმყოფოს და მის ადმინისტრაციას. კეთდება ყველაფერი, რაც შესაძლებელია და არასოდეს არ სწყდება ზომების მიღება მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

თუ ჩვენი საავადმყოფო არ განვტვირთეთ სულით ქრონიკულ ავადმყოფებისაგან, მაშინ ჩვენი მდგომარეობა პირდაპირ აუტანელი იქნება, ვინაიდან ჩვენ ვერ შევსძლებთ რაიმე დახმარება გაუწიოთ იმ პირთ, ვისიც მორჩენა შესაძლებელია.

სულით ავადმყოფ პეტროსიანს როგორც ქრონიკული სენით შეპყრობილს არ ეტყობა მორჩენის არავითარი ნიშნები. მასთან საქართველოში ამჟამად გვყავს 6.500 სულით ავადმყოფი, მხოლოდ 230 საწოლით. ამ გარემოებას ანგარიში უნდა გაუწიოს ამხ. ელიზბარმა და მოჰირნახულეებმაც.

ჯანსახკომი. გ. კუპაიძე.

გაგვიხსენით წითელი სასადილოები

(„ეპოს“ საყურადღებოდ)

ჭიათურის **შავი** ქვის მაღაროები ქალაქ ჭიათურიდან დაშორებული არიან ორი-სამი ვერსით, ამიტომ იქაური მუშები ვერ სადილობენ ჭ. წ. სასადილოში და ხელში უვარდებიან სპეკულიანტებს, რომელთაც ამოაქვთ პური ჭიათურაში და ერთი ორად ჰყიდიან. ეს სპეკულიანტები აკეთებენ ძალიან ცუდ საჭმელს, ჰყიდიან არაყს და ღვინოს, რომელსაც იაფად სტყუებენ გლეხებს. ასე ხდება იქ, სადაც არ არის წითელი სასადილო. მაგ. მეჩხერის მაღაროებშიც. აქაურ მუშებს ყვლეფავს ვინმე **გაფრინდაშვილი.**

იმედია, ამ გარემოებას მიექცევა ყურადღება და აღნიშნულ მუშებისათვის ადგილობრივად მოეწყობა წითელი სასადილოები.

აზკორი კაკო.

რკინისგზის პროფკავშირში

— **წევრთა რაოდენობა** [illegible]. მთავარ სახელოსნოს ადგილკომის ცნობით ამჟამად ურთიერთ დამხმარე სალაროში წევრებად ირიცხება 167 კაცი.

— **საღამოები.** მთავარ სახელოსნოს ადგილკომმა დაადგინა მოაწყოს კითხვა-პასუხის საღამოები მუშებისათვის გაურკვეველ საკითხებზე.

— **საწარმოო თათბირი.** რკ. გზ. სამმართველოს ადგილკომმა დაადგინა მოიწვიოს ახლო ხანში საწარმოო თათბირი.

— **ადგილკომი მუშაობს.** სადგ. თბილისის მოძრაობის დარგის ადგილკომმა დაადგინა მოაწყოს მუშებისათვის საღამოები კითხვა-პასუხით.

— **მომღერალთა გუნდი.** სადგურ თბილისის მოძრაობის დარგის ადგილკომმა დაადგინა მოაწყოს მომღერალთა გუნდი.

— **ორკესტრის გადახალისება.** სადგ. თბილისის მოძრაობის დარგის ადგილკომმა დაადგინა მოახდინოს სასულე ორკესტრის გადახალისება.

— **ვაწყობთ თათბირებს.** ბაქოს საუბნო პროფკავშირმა დაადგინა მოაწყოს ხაზზე საწარმოო თათბირები.

— **ეკონომიური თათბირი.** ბაქოს საუბნო პროფკავშირმა დაადგინა მოიწვიოს მიმდინარე თვეში ბაქოს მთავარ სახელოსნოში ეკონომიური თათბირი.

— **წვრილი სესხი.** „ზაკტპო“-ს გამგეობამ გამოიმუშავა პროექტი წვრილი სესხის სახით მუშებზე საქონლის გაცემის შესახებ.

— **პრემიალური ჯილდო.** „ზაკტპო“-ს გამგეობამ გამოიმუშავა პროექტი პრემიალურ ჯილდოთა გაცემის შესახებ.

— **გადაეგზავნათ სახელმძღვანელოები.** ხაშურის საუბნო პროფკავშირმა დაუგზავნა სახელმძღვანელო ინსტრუქციები ყველა ადგილკომებს საწარმოო თათბირების შესახებ.

— **აბანოების შეკეთება.** ა. | კ. რკ. გზ. ჯანმრთელობის სამმართველომ მიმართა სალიანდაგო სამსახურს მოახდინოს მომავალ საზაფხულოდ აბანოების შეკეთება.

— **ერთი ვაგონი მუშათა ექსკურსიებისათვის.** ამ. კავკ. რკინისგ. [illegible] პროფკავშირმა მიმართა სამმართველოს გასცეს 1 ვაგონი ექსკურსიებისათვის ლენინგრად—მოსკოვისაკენ.

საბჭოთა სასამართლო

გრ. მაღალოვის საქმე

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ ამხ. ბურკაძის თავმჯდომარეობით გაარჩია გრიგოლ მაღალოვის საქმე. მაღალოვს წარდგენილი ჰქონდა ბრალდებათ სისხლის სამართლის კოდექსის 13 და 148 მუხლებში გათვალისწინებული ბოროტმოქმედებათა ჩადენა.

საქმის შინაარსი ასეთია: მაღალოვი იყო სოფლის გლეხკომის რწმუნებული, სოფელ ხაჩინში. 1924 წელს 7 აგვისტოს მას დაავალეს ვინმე სიმონიანცებისაგან კონფისკაციით ჩამორთმეული თივის წამოღება სათიბიდან, რომელიც მდებარეობდა მანგლისის მახლობლად. მაღალოვი მიდის, როგორც რწმუნებული თივის წამოსაღებად, მაგრამ იქ ხვდებიან სიმონიანცები და სასტიკ წინააღმდეგობას უწევენ მას. მივარდებიან ლანძღვა-გინებით და თოფის წართმევასაც დაუპირებენ. მაღალოვი თავს ვეღარ იკავებს და აღელვებული გამოიღებს თოფს და დასჭრის ფეხში სიმონიანცს.

სასამართლომ ბრალდება დამტკიცებულად სცნო და მაღალოვს მიუსაჯა ერთი წლით თავისუფლების აღკვეცა. უკანასკნელი ამნისტიის ძალით მსჯავრდადებული განთავისუფლდა.

შემთხვევები

— **დაჭრა.** 21 აპრილს, იზმაილოვის ქ. № 38. ვლადიმერ საბუთაშვილმა დასჭრა დანით თავისი ცოლი მარიამ. მიზეზი გამოურკვეველია.

— 21 აპრილს, დილით კომუნისტურ უნივერსიტეტში თავი დაიჭრა რევოლვერით უნივერსიტეტის მსმენელმა გალაქტიონ კოვზირიძემ.

— სოფელ სოღანლუღში შეპყრობილი იქნენ აჯირ კუმაში ოღლი და ვარამაზი გასან ოღლი, რომლებმაც რამოდენიმე ხნის წინეთ მოკლეს ნადირ ასან ოღლი.

— 21 აპრილს, ღამის 12 საათზე [illegible] ქ. № 21 პავლე გელიაზაროვმა სამართებლით დაიჭრა თავი.

— **მოწამვლა.** 21 აპრილს საღამოს მე-2 თუმანოვის ქ. № 19, მოიწამლა თავი ელისაბედ ბადრიძისამ.

— 21 აპრილს საღამოს ალექსანდროვის ქ. № 37, ქიარიმ ახრამ ოღლიმ რიმანიულ ნიადაგზე სასიკვდილოთ დასჭრა თავისი ცოლი თერი მადრამ კიზი. ახრამ-ოღლი დაპატიმრებულია.

— **ქურდობა.** 20 აპრილს ირაკლი ფეიაძემ მცხ. ჩერქეზიშვილის ქ. № 87, განაცხადა, რომ გაქურდული იქნა მისი ბინა. საიდანაც წაღებულია სხვადასხვა ტანსაცმელები, ღირებული 800 მან.

ხელოვნება

უკრაინული კაპელა—„დუმკა“.

ამ მუსიკალური ორგანიზაციის საჩვენებელი კონცერტი გაიმართა 20 აპრილს სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში.

შთაბეჭდილება სავსებით დამაკმაყოფილებელია. „დუმკა“ სერიოზული მუსიკალური ორგანიზაციაა, იქ თავმოყრილია ახალგაზრდა მომღერლები, რომელთაც ლამაზი ხმა და მუსიკალობა აქვთ. ასეთ სამაგალითო შესრულებას, ალბათ, წინ უძღოდა დიდი შრომა.

ორგანიზაციას სათავეში უდგას დირიჟორი ნესტორ გოროდოვენკო—გამოცდილი მუსიკოსი, რომელმაც იცის თავისი საქმე და იცნობს გუნდის სიმღერის ყველა თავისებურ მხარეებს.

შესრულება მხატვრულ სიმაღლეზე სდგას. პოლიფონიურ მუსიკას ისეთი ფრაზიროვკით და ნიუანსებით მღერიან, რომ მსმენელი პირდაპირ აღტაცებაში მოდის. შესრულების დროს ისმის რამოდენიმე მელოდია, მაგრამ ყველა ისინი შემდეგ მოხერხებულათ თავს იყრიან ერთ მთლიან დამთავრებულ მუსიკალურ ნომერში.

გუნდი ასრულებს როგორც რევოლიუციონური შინაარსის მუსიკალურ ნომრებს, ისე ბეთხოვენის, შუმანის და სხვათა ნაწარმოებებსაც. მაგრამ პროგრამის უმეტესი ნაწილი დათმობილი აქვს უკრაინულ, ქართულ და საბჭოთა ფედერაციაში მოსახლე სხვა ერების ხალხურ სიმღერებს.

საჩვენებელ კონცერტზე შესრულებულ ნომრებიდან აღვნიშნავთ შემდეგს: „ჰიმნი“—ვაგნერის ოპერიდან, „სიწყნარე ზღვაზე“—ბეთხოვენის მუსიკალური სურათი, „ღამე“—სერენადა გუნოსი; შემდეგ გუნდმა შეასრულა მთელი რიგი უკრაინული სიმღერები, რომლებიც დამუშავებულია თანამედროვე უკრაინელი კომპოზიტორების მიერ, და ზაქარია ფალიაშვილის მიერ დამუშავებული რამოდენიმე ქართული ხალხური სიმღერა („ინდი-მინდი“, „ცანგალა და გოგონა“ და „მურმან, მურმან“). ქართული სიმღერების შესრულებამ აღტაცებაში მოიყვანა დამსწრე საზოგადოება.

მუსიკოსი.

— **პროფ. რიადნოვის იუბილე.** ხვალ სახელ. ოპერის თეატრში გაიმართება კონსერვატორიის პროფ. ე. კ. რიადნოვის საიუბილეო წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნება ადგილები ოპერებიდან: „სიცოცხლე თავისუფლებისათვის“, „აიდა“ და ევგენი ონეგინ“.

— **ლეონიდ სობინოვის გასტროლი.** დღეს, ოპერის თეატრში გაიმართება სობინოვის გასტროლი. წარმოდგენილი იქნება „ტრავიატა“.

— ცირკი. დღეს ფრანგული ჭიდაობა.

— დოლი. 26 აპრილიდან დიდუბეში დაიწყება დოლი.

— **სამხატვრო თეატრთან.** ამჟამად მოლაპარაკებას აწარმოებს წ. კ. უცოდინარობასთან მებრძოლი თბ. საზოგადოება ამავე საზ. სასარგებლოთ წარმოდგენების შემოსავლიდან რამდენიმე პროცენტის გადადების შესახებ.

— **მწერლობის და წიგნის ისტორიის** მუზეუმი გაიხსნება თბილისში 17 მაისს.

დღეს კინოებში

— აპოლო—„ორი ობოლი“.

— არფასტო—„იქ სადაც ვპრობენ სულითა და ხორცით“.

— სოლეი—„როზიტა“.

— მინიონ—„უბილეთო მგზავრი“.

— პალასი—„რაფკეს ქალიშვილი“.

— თვითმფრინავი—„ურაგანი“.

— ოაზის—„ამერიკელი ქალის თავგადასავალი“.

პროვინციაში

13 თვის განმავლობაში „ხვალე“-თი კვება შეიძლება?

(წერილი სამტრედიიდან)

1924 წლის მარტის 4 რიცხვებში სამტრედიაში ჩამოვიდენ თბილისის საზომ-საწონთა (мер и весов) პალატის წარმომადგენელნი, რომლებმაც დაყვეს სამტრედიაში ორი კვირა და აიღეს დაკვეთები როგორც კოოპერატივებიდან, ისევე კერძო მოვაჭრეებიდან მეტრების, კილოების ახალი საწონების და სხვა. სამტრედიის მუშკოოპმა მისცა დაკვეთა მათ და ბეს სახით აიღეს 84 მან. სათანადო ქვითარის მიცემით. იმის შემდეგ ერთი წელიწადი გავიდა კოოპერატივის წარმომადგენელმა სამხელ ინახულა მათი კანტორა თბილისში, სადაც მას პირდებოდენ ყოველთვის „დღეს. ხვალეო“... მაგრამ მოთმენასაც საზღვარი უნდა ჰქონდეს მგონია. კოოპერატივის გამგეობა იძულებული იყო [illegible] ხის მეტრები და გადასულიყო ახალ სისტემაზე. ეს მაშინ, როდესაც ის დაიმედებული თითქმის 13 თვე ელოდდა დაკვეთილის მიღებას. ასეთი საქმე ვაჭრებსაც აზარებს. ისინი სარგებლობენ რა ასეთი მაგალითებით, სახელს უტეხენ არსებულ ხელისუფლებას.

ჩვენ მივაქცევთ ამაზე მათ ყურადღებას ვისაც ეს ეხება.

კოოპერატივის თანამშრომელი.

„სახელოვან მამულიშვილებს—ჟორდანიასაგან“

(წერილი დუშეთიდან)

იფოთლება ტყე და დიდი გზის გმირებიც ამოძრავდნენ მაზრაში. ამ მოკლე ხანში მოკლეს ამ ნაძირალებმა საგურამოს რაიონში პარტიული ამხანაგი ინაშვილი, შერე ახალგაზრდა კომკავშირელი **ნატახტრის** მილიციონერი. საცოდავს გზაში დაუხვდნენ ჩასაფრებული ყაჩაღები, მოჰკლეს და საშინლათ დაასახიჩრეს გვამი, გაძარცვეს, იარაღი და ტანისამოსი წაიღეს. მაგრამ ამ ვაჟბატონებსაც არ დაუჯდათ იაფათ ეს გმირობა. მათთაგან სამი გამოჩენილი ყაჩაღი **იზნაშვილი, ხიმშიაშვილი და მაისურაძე** გამოასალმეს წუთისოფელს. მათ პატრონტაშებზე აღმოჩნდა წარწერა: „სახელოვან მამულისშვილებს ჟორდანიასაგან.“ საგანგებო კომისიის აგენტები დიდი ხანია მათ დასდევენ. მიაგნეს მათ კვალს და ორმა მოკლა 3. დანარჩენები თავზარ დაცემულნი გაიქცნენ. დახოცილები იყვნენ მოწანწალე ბრბოს ხელმძღვანელები. იმედი გვაქვს, დანარჩენებსაც მალე მოუღებენ ბოლოს და ჩვენი გზები გაიწმინდება მათგან.

მ. შ—ლი.

სოფ. ცემი

(წაღვერის თემი)

სოფ. ცემი საუკეთესო სააგარაკო ადგილია. ამ სოფ. გლეხებმა მოიყარეს თავი და შეიმუშავეს ოთახების ფასები. ოთახის ფასი არ აღემატება 80 მან.

ბორჯომის ელსადგურიდან გამოყვანილი იქნება სინათლე მაისის 15-დან. განათებული იქნება მთელი ქუჩები. გზების შესაკეთებლად და სისუფთავის დასაცავად ზომებია მიღებული. წაღვერის კოოპერატივის გამგეობა პირდება სოფელს განყოფილების გახსნას. აგრეთვე გლეხკომიც სცდილობს წითელი სასადილოს გახსნას.

მერცხალი.

საგაზაფხულო მუშაობის მოლოდინში

(სურამი)

უნდა ითქვას, რომ წრევანდელ ზამთარს ჯერაც არ შეუსუსტებია თავისი სუსხი.

ჯერ კიდევ გლეხს ვერ გაუხდია თავისი საზამთრო ქურქი და ვერ გამოსულა მინდვრად. შარშანდელთან შედარებით, წელს საგაზაფხულო მუშაობა გვიან იწყება. გაზაფხულმაც არ შეუწყო ხელი მუშაობას, გამუდმებით სწვიმს, გლეხი დღე დღეზე უცდის გამოდარებას. წელს უფრო მეტი სურვილია გლეხობაში, რომ ერთი მტკაველი მიწაც არ გაუშვას დაუთესავი. ტარდება თესვის კამპანიები ადგილობრივი ორგანოების (განსაკუთრებით გლეხკომის) ხელმძღვანელობით. გლეხობას აძლევენ სხვადასხვა რჩევა-დარიგებას და სხვა.

ი. გაგოშიძე.

პროვინციის ქრონიკა

— **სოფ. საგარეჯოში** დაარსდა სასოფლო-სამეურნეო არტელი, რომლის განკარგულებაშია 12 დესეტინა მიწა.

— **სამხრეთ-ოსეთის ცაკმა** დასდო ხელშეკრულება ელექტრო-სადგურების საამშენებლო საზოგადოებასთან ცხინვალში ელსადგურის აგების შესახებ.

— **ლიახვის ნაპირების გამაგრება.** ცხინვალში ამ დღეებში შეუდგებიან მდინარე ლიახვის ნაპირების გამაგრებას.

— **ქუთაისის** აღმასკომმა თავის ხარჯზე გააგზავნა სოფ. დიდ-ჯიხაიში ფერშალი.

— **გორის** აღმასკომმა აპატია გლეხებს, თანახმად ამნისტიისა, ტყეების გაჩეხისათვის შეწერილი ჯარიმები.

— **აგარაკის მოწყობა.** სამხრეთ-ოსეთის ცაკმა გადასწყვიტა სოფ. ჯავაში მინერალურ წყლებთან მოაწყოს აგარაკი.

— გორში ამ დღეებში დასრულდება თვითმშრომელთა ახალი არტელის მოწყობა.

იურიდიული რჩევა-დახმარება

კანონიერია თუ არა საბინაო კოოპერატივის ასეთი მოქმედება

კითხვა.

ვცხოვრობდი მელითონეთა კავშირის სახლში (პლეხანოვის პროსპექტი № 111 ში). ბინაში, რომელშიდაც მე ვიყავი, კიდევ სცხოვრობდა მუშა ილიკო ქლენტი. ეს უკანასკნელი იყო მელითონეთა კავშირის წევრი. ამ სამი თვის წინედ ამხ. ი. ქლენტი გადაყვანილ იქნა ქ. ხაშურში და ბინაში დავრჩი მარტოდ მე ჩემი ცოლშვილითურთ. ამ დღეებში მოვიდა წარმომადგენელი საბინაო კოოპერატივიდან და მომცა წინადადება 24 საათის განმავლობაში ბინის დაცლის შესახებ, რის შესრულებაც ჩემთვის ყოვლად შეუძლებელი იყო. მეორე დღეს დამიბეჭდეს ბინა მთელი ჩემი ნივთებით და დამტოვეს ცის ქვეშ ცოლშვილის პატრონი ადამიანი. მიზეზად მოვლილვე ამისა დაასახელეს ის, რომ მე სხვა კავშირს ვეკუთვნოდი.

ჩემს გარდა ამ სახლში სცხოვრობენ სხვა კავშირების წევრებიც და მე ღარიბ ცოლშვილიან მუშა-კაცს არა მაქვს საშუალება ვიცხოვრო იმ ერთ პატარა ოთახში, რომელიც შესდგება 10 კვადრ. არშინიდან. ამასთან ერთად გაცნობებთ, რომ ოთახის ქირას ვიხდიდი წესიერად ყოველთვიურად, რისი ქვითარებიც თანა მაქვს.

ასეთ უბინაობაში ვარ ერთი კვირა და მირჩიეთ რა გზას დავადგე.

უმუშევარი კავშირის წევრი (მიწა-ტყის კავშ. ხაწ. წიგნი № 764)

ა. ანთიძე

პასუხი

საბინაო კოოპერატივის წარმომადგენელის მოქმედება უნდა ჩაითვალოს არა სამართლიანად; რომელიმე კავშირის წევრის (თუ ის წესიერად იხდის ბინის ქირას სახლში წესრიგს არ არღვევს და სახლს არავითარ ზიანს არ აყენებს) გამოსახლება დაუშვებელია მარტო იმ მოსაზრებით, რომ ვითომდა ესა თუ ის სახლი ეკუთვნის სხვა კავშირს. პირიქით, საბინაო კოოპერატივი, თქვენ, როგორც კავშირის წევრს და უმუშევარს, უნდა დაგხმარებოდათ და შეღავათიც მოეცათ თქვენთვის არსებულ წესების თანახმად.

კანონიერია თუ არა სახლის პატრონის ასეთი მოთხოვნილება

კითხვა

რა რაოდენობით უნდა გადამხდეს თვითმშრომელთა კავშირის წევრს წყლის და ბინის ქირა. მაგალითად: მე ვსცხოვრობ განოვის ქუჩაზედ № 9, მიქირავს ქვედა სართულში ერთი ბნელი ოთახი, რომელიც შეიცავს 35 კვ. არშინს. კვ. არშინზე მთხოვენ 10 კაპეიკს, წყლის ფულსაც ვიხდი ისე, როგორც კერძო პირი. თვით მე განვიცდი უკიდურეს მდგომარეობას სიღარიბის მხრით. მყავს ხუთი სული სარჩენი, დღიურ შემოსავალზე ვსცხოვრობთ. ხან და ხან ისიც კი არ მაქვს.

გთხოვთ ახსნა-განმარტებას, რამდენი უნდა გადავიხადო წყლის და ბინის ქირა. (თვითშრომელთა კავშირის წ. № 1357.)

ლუკა მაჭარაძე.

პასუხი

ბინის ქირად თვიურად იხდით საცხოვრებელ ბინის თვითოეულ კვადრატიულ არშინზე ერთ შაურიდან ორ შაურამდე. წყლის საფასურს თითოეულ ვედრო წყალზე კი კაპეიკის ერთმეოთხედს.

რომელი კატეგორიით უნდა მომეცეს შრომის ხელფასი?

კითხვა

მე, მუშა-მასწავლებელი გ. ჩიკვაიძე, ვმსახურობ განათლების დარგში 1922 .. მასწავლებლობა დავიწყე უნივერსიტეტიდან გამოსვლისათანავე. გამოველ ავადმყოფობის გამო უნივერსიტეტის საისტორიო-ფილოლოგიურ ფაკულტეტის ისტორიულ განყოფილების მეოთხე კურსიდან. ჩემი მდგომარეობა გამოურკვეველია, თუ რომელ ჯგუფს უნდა ვეკუთნოდე, უმაღლეს დამთავრებულთა თუ საშუალოს ან რომელ კატეგორიით უნდა ვიღებდე ჯამაგირს! გთხოვთ განმარტებას ამის შესახებ.

მასწავლებელი **გიორგი ჩიკვაიძე.**

პასუხი

უმაღლეს სასწავლებლის კურსდამთავრებულებად ითვლებიან მხოლოდ ისინი, ვისაც ჩაუბარებიათ სახელმწიფო გამოცდები დამაკმაყოფილებლად, რის შესახებ აქვთ მიღებული სათანადო დიპლომები, ან მოწმობები. თქვენ კი, ამხანაგო, ასეთი არა გაქვთ, ამიტომ ეკუთვნით საშუალო სასწავლებლის კურსდამთავრებულთა ჯგუფს, რის გამო შრომის ხელფასს მიიღებთ ამ უკანასკნელებისთვის დაწესებული კატეგორიის მიხედვით.

ჩვენი ფოსტა

გ. გარსიაშვილს. ცნობებს ძლიერ გვიან გვაწვდით და ეს არის მიზეზი, რომ წერილები არ იბეჭდება. 22 აპრილს მივიღეთ ცნობა 22 მარტის, გიორგიწმინდის კოოპერატივის წევრთა კრების შესახებ—დაგვიანებულია. არ დაიბეჭდება.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პ ა რ ტ ი უ ლ ი

— ს. ა. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტი იტყობინება, რომ ხუთშაბათს, 23 აპრილს, საღამოს სრულ 5 საათზე, შესდგება თბილისის კომიტეტის **პლენუმის სხდომა.**

თბილისის კომიტეტის ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

ს. ა. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტის მდივანი **მეთონიძე.**

— ს. კ. პ. თბილისის ორგანიზაციის მე-3 რაიკომი წინადადებას აძლევს ამხ. პავლე სტუპაჩენკოს და პავლე კუპჩენკოს სამი დღის განმავლობაში გამოცხადდენ რაიკომის საორგანიზაციო განყოფილებაში.

— საქ. კომპარტიის ლენინის რაიკომი იუწყება, რომ ხუთშაბათს, 23 აპრილს, საღამოს 5 საათზე რაიკომის ბინაზე გაიმართება რაიკომის პრეზიდიუმის სხდომა და ამიტომ წინადადება ეძლევათ ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდენ პარტიის კანდიდატებათ ჩასარიცხავათ.

მთავარი სახელოსნოები: სარიჩევი ვლადიმერ, გოჩიაშვილი იასონ, ბიმანოვიჩ სტეფანე, გოგოლაძე ვალერიან, ფარესაშვილი ევგენი, აველისოვ კაზარ, ვარსემაშვილი მიხეილ, მერაბიშვილი გაბრიელ, როსტიაშვილი დავით, დანილევიჩ პეტრე, ჯიქიძე არსენა, რომანოვი ტერენტი, დვალი ივანე, ბაინდურაშვილი სარქის, მაჩაბელიშვილი გიორგი, იშხანიშვილი შაქრო, იმერლიშვილი სანდრო, მელიქიძე გრიგოლ, კახაძე ნიკოლოზ, დევიცინ თედორე, ბეგიჯანოვი ქრისტეფორე, კაუფმანი კარპ, კამალოვი სერგო, სარქისოვ მარტინ, ხმელური მართა, დვალაძე სოლომონ, გნოლიძე მარიამ, გამცემლიძე ელენ, გულუაშვილი მარიამ, მიშინ ალექსი, ვლადიმიროვ ნიკოლოზ, პართენოვ ალექსანდრე, ლიამჟენკო ნიკოლოზ, მუხაძე ალექსანდრე, გრიბოვსკაია მარიამ, მელხოვ ალექსი. ხუბულური ვახტანგ, ინაური ალექსანდრე, დონსავა ალექსანდრე, დობორჯგინიძე კირილე, ინჩაკოვი ივანე, ჩარკვიანი, გიგაური ნინა, პუშკოვი ივანე.

დეპო: სარიევა ნინო, გვრიტიშვილი ნინო, ანიკეევი იოსებ, დიაჩენკო ვასილი, წილოსანი იორდან, ბოკაევი არსენ, უმბრიევი არტემ, ხუციშვილი იორდან, ფარცხალავა ისაკი, მამასახლისოვი არტემ, ლავრენჩუკ მიხეილ, მაკარაშვილი არტემ, ღვთისიაშვილი ივანე, შაპოვალოვი ალექსანდრე, ჩოხელი ანტონ, თურქაძე პავლე.

რკინ. გზ. სტამბა: აპანც არტემ, გამყრელიძე ივანე.

რკინ. გზ. საავადმყოფო. გარგალაჯევი ეკატერინე, კუმეწვილი ილია.

მუშფაკი: მაჩაიძე მარკიზ, მანჯავიძე ნიკოლოზ, მუზაშვილი ნიკოლოზ, სიხარულიძე ლუკა.

ლენინის რაიკომის მდივანი **ქავთარაძე.**

ღრმად დამწუხრებულნი: ქმარი ისიდორე პეტრესძე ბუაძე, შვილები: თამარა და ნინა: დედა ნატალია და მამა—დავითი; დები: ნადია, დარო და ნინა; ძმები: ვანო, ვარლამი და ლევანტი მიქაძეები; სიძეები: ათანასე შილაკაძე, პოლიკარპე ჰავჰანიძე და კოწია ახობაძე აუწყებენ მეგობრებს, ნაცნობთ და ნათესავთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის უსაყვარლესი და და მუდამ დაუვიწყარი

აგრაფინა დავითის-ასული

მიქაძე-ბუაძისა

გამოსვენება და დაკრძალვა: დღეს ნაშუადღევის 3 საათზე, საკუთარ ბინიდან (ანდრეევის ქ. № 122) დიდუბის სასაფლაოზე

ნოე მანუჩარის ძე ყიფიანი, მეუღლე თამარი, შვილები: ოთარ და ცისანა, მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი დედის და ბებიის

ნინო ივანეს ასული ყიფიანის

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას. პანაშვიდი ქაშვეთის ეკლესიაში დღეს, აპრილის 24, საღამოს 7 საათზე. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 1000. 1—1

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე კესარია იოსეს ასული, შვილები—გერასიმე, გიორგი, იულია, ოლია, ვერიჩკა, ლიუბა და მექი, სიძეები—ალექსანდრე მიქელაძე და აკაკი კვაჰანტირაძე, შვილის შვილები—მარგარიტა, დეზდემონა და ვახტანგი გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ულმობელმა სიკვდილმა ხელიდან გამოაცალათ ძვირფასი და მარად დაუვიწყარი

ექვთიმე ოქროპირის ძე

სულაქველიძე

რომლის უკანასკნელი გამოთხოვების დღეთ დანიშნულია პარასკევი 24 აპრილი, დღის 2 საათზე ქ. სამტრედიაში ნაფალაურის უბანი ი. ჰავჰავაძის ქუჩა, შესახვევი საკუთარი სახლი.

ნ. 1149 1—1

გულდათუთქული მეუღლე ელისაბედ და შვილები: ნადეჟდა, ლუსია და პუჰუ (იგივე ევგენი) აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და გულშემატკივართ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ევგენი მიხეილის ძე

გაბუნია

პანაშვიდი დანიშნულია 23 აპრილს საღამოს 6-ს. საკუთარ ბინაში პლეხანოვის პრასპექტი № 108. გამოსვენება მოხდება 24 აპრილს. დაკრძალვა ნიკოლოზის სასაფლაოზე.

№ 996 2—1

ს. კ. პ. თბილისის ორგანიზაციის არსენალის რაიკომი და „ცენტროტრამოტის" კომუჯრედი აუწყებენ ამხანაგებს და ნაცნობებს, რომ 22 აპრილს, დილის 4 საათზე გარდაიცვალა პარტიის წევრი

იოსებ [illegible]

რო[illegible]

ცხედარის გამოსვენება ბინიდან—მიხეილის შესახვევი, № 9—პარასკევს, 24 აპრილს, დღის 3 საათზე. დასაფლავება ვერის სასაფლაოზე. ნ. 1151 1—1

სამსონ, დიმიტრი, რუბენ, შალვა, ბენიამენ და გედეონ ქიშვარდის ძენი შარაშიძეები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 20 აპრილს ღამით უეცრად და უდროოდ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი მოამაგე და ძვირფასი ძმა

ბარნაბ ქიშვარდის-ძე

შარაშიძე

დაკრძალვა მოხდება ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე ხუთშაბათს, 23 აპრილს სრულ 4 საათზე. გამოსვენება ბინიდან: ანასტასიის ქუჩა № 23.

993 1—1

წარმოკავშირის ბუჰხალტერიის თანამშრომლები მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ აპრილის 20-ს უეცრად გარდაიცვალა მათი ძვირფასი ამხანაგი და მეგობარი

ბარნაბ ქიშვარდის-ძე

შარაშიძე

გამოსვენება მოხდება 23 აპრილს ნაშუადღევის 4 საათზე ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე ანასტასიევის ქ. № 23 სახლიდან.

995 1—1

წარმოკავშირის ადგილკომი და თანამშრომლები მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას წარმოკავშირის საფინანსო განყოფილების თანამშრომლის

ბარნაბა ქიშვარდის-ძე

შარაშიძის

მოულოდნელ გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს. ნიკოლოზის სასაფლაოზე ნაშუადღევის 4 საათზე.

ნ. 1148 1—1

რახილ, დავით და ნიკო მგელაძეები ოჯახობით მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 20 აპრილს ღამით უეცრად გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი მამიდაშვილი

ბარნაბ ქიშვარდის ძე

შარაშიძე

სამოქალაქო პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 7 საათზე ანასტასიის ქ. № 23. დაკრძალვა ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე ხუთშაბათს 23 აპრილს სრულ 4 საათზე. 988 2—2

პარასკევიდან, 24 აპრილიდან

კინო-თეატრებში

„არფასტო"

და „სოლეი"

„ქარიშხალის მაუწყებელი"

[illegible]

(„ქარიშხალის წინ"

სავსებით გადაკეთებული სახელმწიფო კინო-მრეწველობის ლაბორატორიაში, სრულიად ახალი მონტაჟით.)

3—3 ნ. 1137

საშემოსავლო გადასახადი

ა. კ. ფინსახკომის რწმუნებული საქართველოში აცხადებს სახელმწიფო, კომუნალურ, პარტიულ და პროფესიონალურ დაწესებულებათა და საწარმოოთა, მათ რიცხვში სამხედრო დაწესებულებათა (თვისუფლად დაქირავებულ მუშათა და მოსამსახურეთა შესახებ), აგრეთვე სააქციო საზოგადოებათა და კომპანიათა, საკრედიტო დაწესებულებათა, ყოველგვარ ამხანაგობათა, კოოპერატივთა და კოოპერატიულ შეერთებათა, კერძო წარმოებათა და მეურნეობათა და სხვადასხვავარ საზოგადოებათა (სამეცნიერო, სარწმუნოებრივ, სასპორტო, საგანათლებო საზოგადოებათა, საბირჟო კომიტეტთა და სხვა) საცნობლად, რომ 1924—1925 საბიუჯეტო წლის მეორე აპრილი—სექტემბერი საგადასახადო ნახევარში, თანახმად 1924 წლის 29 ნოემბერს დამტკიცებულ სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადის აკრეფის ინსტრუქციის 135 §-სა, საშემოსავლო გადასახადის ძირითადი განაკვეთი მუშების და მოსამსახურეებისაგან, აგრეთვე სახელმწიფო პენსიონერებისაგან უნდა გამოანგარიშებული იქნეს იმ დაწესებულების, წარმოებების და მეურნეობის მიერ, რომლებიც აძლევენ ჯამაგირს ან პენსიას, ზემოაღნიშნულ ინსტრუქციის 123 §-ში და დებულების მე-5 მუხლში აღნიშნულ წესით.

123 § პირადი შრომის შემოსავლად ითვლება ხელფასის ჯამი, რომელიც მიღებულია მუშების და მოსამსახურეების მიერ ყველა დაწესებულებაში, წარმოებაში ან მეურნეობაში. დასაბეგრი შემოსავალი უნდა გამორკვეულ იქნეს ჯამაგირის ან ხელფასის თვიურ საშუალო წასულ საგადასახადო ნახევარ წელში ნატურით და ფულად მიღებულ რაოდენობის მიხედვით.

შენიშვნა: ზემოაღნიშნულ ნახევარ წლის (აპრილი—სექტემბერი) ძირითადი საშემოსავლო გადასახადი მუშების, მოსამსახურეების და პენსიონერებისაგან უნდა გამოანგარიშებული იქნეს 1925 წლის თებერვალ-მარტში ფაქტიურად მიღებულ საშუალო ხელფასის მიხედვით

დებულების მე-5-ე მუხ. მე-4 მუხლში მოხსენებული მუშები და მოსამსახურეები იხდიან გადასახადს ნახევარ წელში შემდეგი რაოდენობით:

ა) თვეში 75—100 მანეთამდე მიმღებნი 3 მან. 60 კაპ., ბ) თვეში 100 მან. ზევით, მაგრამ არაუმეტეს 150 მანეთისა მიმღებნი 7 მან. 20 კაპ.; გ) თვეში—150 მან. ზევით მიმღებნი—15 მან. ამის გარდა გადასახადზე უნდა იქნეს დარიცხული 25 პროც. ადგილობრივ ორგანოთა სასარგებლოთ.

იმის გასაგებათ, თუ რა უნდა იქნეს ჩათვლილი ან გამორიცხული მუშების და მოსამსახურეების მიერ მიღებულ ხელფასის ჯამიდან, თანახმად ინსტრუქციის 124—125 §§-სა, უნდა მიმართონ აღმასკომების საფინანსო განყოფილებებს ან სათანადო რაიონის ფინინსპექტორებს. ხელფასის ჯამიდან უნდა გამორიცხულ იქნეს პროფკავშირების მიერ პროფკავშირთა ორგანიზაციების და ურთიერთ დამხმარე სალაროს სასარგებლოთ დაწესებული გადასახადები.

მუშებისა და მოსამსახურეებისაგან გადასახადის დაკავების ხაზინაში შეტანის, აგრეთვე არა სისწორით გამოანგარიშებულ გადასახადის გასაჩივრების წესი ნაჩვენებია ა. კ. ფინსახკომის საქართველოში რწმუნებულის განცხადებაში, რომელიც დაბეჭდილი იყო გაზეთებში „კომუნისტი" 1925 წლის 25 თებერვლის № 46 (1201) და „ზარია ვასტოკა" 1925 წ. 21 თებერვლის № 810. მუშების და მოსამსახურეებისათვის გამოანგარიშებულ საშემოსავლო გადასახადის ძირითად განაკვეთების სიები უნდა შედგენილი იქნეს სამ ეგზემპლიარათ, რომელთაგან ერთი გაეგზავნება აღმასკომის ადგილობრივ საფინანსო განყოფილებას, მეორე ფინინსპექტორს იმის გამოსარკვევათ, თუ რამდენათ სრულად და სისწორით არის გამოანგარიშებული გადასახადის განაკვეთები, და მესამე ინახება დაწესებულებაში.

ა. კ. ფინსახკომის რწმუნებული საქართველოში **ლლონტი.**

გადასახადთა განყოფილების მმართველი **ჯაფარიძე.**

პირდაპირ გადასახადთა ქვეგანყოფილების გამგე **ბეჩირგანიშვილი.**

ნ. 1152 1—1.

ს. პ. პ. ც. პ. გამომცემლობის

მთავარი კანტორა

იწვევს

თბილისში ქვემოდ ჩამოთვლილ კონტრაგენტებს ანგარიშების შესასწორებლად 28 აპრილამდის

1. ქადეიშვილი—(ფოთი)
2. ნიკოლაიშვილი—(ბათომი)
3. კობახიძე (ჭიათურა)
4. ესებუა—(ახალ-სენაკი)
5. ლამბაშიძე—(ჭიათურა—ყოფილი კონტრაგენტი)
6. ტაგიძე—(სუფსა—ყოფილი კონტრაგენტი)

2—1

სელდების გაყიდვა

„აზრიბა"-ს

ფასებში მინდობილი აქვს

ოსიპ ქრისტეფორეს-ძე ოსიპოვს

ვისაც სურს შეიძინოს სელდები ქალ. თბილისში დიდი პარტიობით, მან უნდა მიმართოს უშუალოდ ოსიპოვს. მისი მისამართი: პუშკინის ქ. № 2.

აზერბეიჯანის თევზის სავაჭრო სამმართველოს

უფროსი: ბაბა ალიევი.

ნ. 1145. 1—1

გამოვიდა

და

იყიდება

ფ. ი. მიხალევსკის

პოლიტიკურ ეკონომიის დაწყებითი კურსი

ფასი 1 მ. 50 კ.

დაკვეთა და ცალობით შეძენა მხოლოდ გაზ. „კომუნისტი"-ს

მთავარ კანტორაში

(რუსთაველის პროსპექტი № 24 მე-2 სართული).

678 0—4. გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა.

თბილისის ქალაქის ლომბარდი

(ლორის-მელიქოვის ქ. № 8) ამით აცხადებს, რომ კვირას, 26 აპრილს, დილის 11 საათზე დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ვადაგასულ გირაოებისა. გასაყიდი გირაოების ნომრები გამოცხადებულია ლომბარდის დარბაზში.

ბორჯომის მრეწველობის კომბინატი

15 აპრილიდან ჰყიდის ქიმიურად გაწმენდილ

ნახშირმჟავა სითხეს

(მშრალი გაზი)

ფასი: 10 კილოიანი ბალონი 5 მან. 50 კაპ.

ფრანკო-სადგური ბორჯომში და

6 მან. 50 კაპ. თბილისში.

კომბინატის წარმომადგენლობა: ჯანსახკომი, საპიორის ქუჩა № 30, ოთახი № 4. 2—2 ნ. № 1140.

სავალდებულო დადგენილება № 31

თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა

12 აპრილი, 1925 წ.

ქ. თბილისის ქუჩებში და მოედნებში მყოფ ხეების და ბუჩქების დაცვის შესახებ.

ქ. თბილისის ქუჩებში და მოედნებში მყოფ ხეების და ბუჩქების დაცვის მიზნით თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

1. აკრძალულია ქ. თბილისის ქუჩებში და მოედნებში მყოფ ხეების და ბუჩქების მოჭრა, მათი გასხლა (თუ გინდ გამხმარი), აგრეთვე ყვავილების და ნაყოფების მოწყვეტა ქუჩების ხეებიდან და ბუჩქებიდან, რომელნიც იზრდებიან როგორც კერძო სახლების, ისე სახელმწიფო დაწესებულებების შენობების წინ.
2. ამა სავალდებულო დადგენილების დამრღვევნი დაისჯებიან ადმინისტრატიული წესით დაჯარიმებით სამი მანეთიდან ორმოცდაათ მანეთამდე თითეულ ძირისათვის.
3. დადგენილება ესე შედის ძალაში დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

აღმასკომის თავმჯდომარე **სუხიშვილი.**

4205. 1—1 კომუნალური განყოფილების გამგე **ივანოვი-კავკასიელი.**

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დიარსონვალი,

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ერეიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

9205 25—5

ექიმი

დ. ა. გალუსტიანი

შინაგანი, კანის, ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი), სიფილისი.

მიღება დილის 8-დან 11-დე და საღამოს 5-დან 8 საათამდე.

ქალების მიღება დღის 12-დან 1 საათამდე.

ელისაბედის ქ. № 77, მეორე სახლი კირკის ქუჩის კუთხიდან.

482 25—7.

ექიმი

გ. გ. მეგრაბიანცი

ავადმყოფობა ფილტვების, გასული ტუბერკულიოზის. სპეციალობა მალარიისა. ელექტრო-სხივებ-რენტგენის სამკურ. კაბინეტი, ფოტოგრაფია და მკურნალობა რენტ. სხივებით.

მიღება დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23.

2746. 25—10

არარის უკეთესი

კეფირი, ვიდრე

ო. კორონასი

ლორის მელიქოვის ქ. № 6.

ცნობილია მრავალ სამედიცინო გამოკვლევების დროს ყველაზე საუკეთესო კეფირად, როგორც თავისი ღირსებით, ისე დამზადებით, რაც მიღწეულია 45 წლის გამოცდილებისა და დაკვირვების შემდეგ. ამიტომ ვსთხოვ ყველას, შეადარონ ჩემს ლაბორატორიაში დამზადებული კეფირი სხვა კეფირს. მსურველთ შეიძლება სახლში მივაწოდოთ ნ. 1106 25—5

ექიმი

ა. ს. ფონ-ირტელი

(მიხეილის პროსპექტი, 10, ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ბო-მონდი).

გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათ (სისივნეების, ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი.

ავადმყოფების მიღება დილის 8 სათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე. 25—9

ა. მ. მძინარაშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

ავადმყოფების მიღება: 1—2 ს. და 6—8 ს. საღამოთი; ქალების და ბავშვების 5—6 ს.

მისამართი: რუსთაველის პროს. № 18

შესავალი კრუზენშტეინის ქუჩიდან.

25—7

ექიმი

ნ. ა. ჭანდიერი

შინაგანი და ქალთა ავადმყოფობანი. იღებს ავადმყოფებს საღამოს 4—7 საათამდე.

სომხის ბაზარი № 3.

№ 202.

25—24

ექიმი

ი. დ. თოფურიძე

ქუჩა კალინინის (ყოფილი ნიკოლოზის) № 33.

იღებს ავადმყოფებს

კანის, სიფილისი და ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის.

25—14

ექიმი

მ. ა. ლუკოვეცკი

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 4 საათიდან—6 საათამდე; ქალების მიღება 1 საათიდან—2 საათამდე.

საპიორის ქუჩა № 35, ყოფილი კადეტ. კორპ. უკან.

25—25

ექიმი ვ. ნ. ჩუპრინინი

საბჭოთა ქ. № 87 (ყოფ. ჩერქეზიშვილის)

შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, ვენაში შეშხაპუნება.

მიღება დილით 10—11 საათ.

25—19 საღამოს—5—6 საათ.

კბილის ექიმი

ფ. თ. რატიანი

თუხარელისა

კბილის და ღრძილის ავადმყოფობა, ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—7 საათ. ბარიატინის ქუჩა № 18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ)

25—15

ექიმი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა

მიღება: დილის 9—11 საათ. საღამოს 5—8, პლეხანოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოვაია" პირდაპირ. № 3203. 25—8

დაიკარგა პირადობის მოწმობა, მოწმობა მეტრიკული და აღრიცხვის ბარათი კონდრატი ბეჟანის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

1—1 997

დაიკარგა პირადობის მოწმობა მოცემული თბილისის მილიციის უფროსის მიერ № 9857, ნინო იოანისიანცის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

1—1 996

დაიკარგა კავშირის წიგნაკი № 465815, გრიგოლ სამსონის ძე ქილაძის სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულათ.

1—1 994

დაიკარგა პირადობის მოწმობა გაცემული ლენინგრადის მილიციის სამართველოდან, დავით მეტრეველის სახელზე. აგრეთვე დოკუმენტები მიღებული სხვადასხვა დაწესებულებიდან. ჩაითვალოს გაუქმებულად.

1—1 992

დაიკარგა პირადობის მოწმობა სანდრო სოლომონის ძე ჯავახიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

1—1 991

დაიკარგა დამზღვევი კასის წიგნაკი № 28588, იასონ სიმონის ძე ქურციკიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

1—1 998

ტირაჟი—20.170

„ზარია ვოსტოკა"-ს სტამბა, საზა წულუკიძის ქ. № 4